სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები № 12.

ივ. ივ. კერესელიძე

1829—1893

ტ ფ ი ლ ი ს ი
Тип. „Гутенбергъ“ (Дісамидзе). ✠ სტ. „გუტენბერგი“ (დიასამიძისა).
1902

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები № 12.

ივ. ივ. კერესელიძე

34253

1829—1893

ტფილისი
სტამბა „გუტენბერგი“ (თ. გრ. ნ. დიასამიძისა), სასახლის ქუჩაზე.
1902

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го февраля 1902 г.

ივანე ივანეს ძე კერესელიძე

1829—1893

ქართულ მწერლობაში ივანე კერესელიძე 1857 წლიდან ისეთ მშრომლად უნდა ჩაითვალოს, როგორც 1863 წ. ილ. ჭავჭავაძე, აკაკი, ან. ფუუცელაძე, 1866 წ. გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, 1869 წ. ს. მესხი და ზოგი ერთიც სხვა საპატიო გვამნი ქართველთა, რომელთაც სარედაქციო შრომის გარეშე სხვაფრივაც უფრო დიდი სამსახური მიუძღვით ქართულ მწერლობაში. ასეთ პირებს ჩვენ აქ არ დავასახელებთ, ეს თვით მკითხველმაც უნდა იცოდეს. იმას კი ვიტყვით, რომ სადაც კი ეს საპატიო მოღვაწენი აიწერებიან და გამოიხატებიან, იქ არც ივანე ივანეს ძე კერესელიძე გამოაკლდება, ვამბობთ არ მოაკლდება მით უფრო, რადგანაც ყველა ზემოხსენებულ საპატიო მოღვაწეებს თითქმის ივ. კერესელიძემ ააღებინა ხელში კალამი, მან დააწყებინა წერა, მწერლობის და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე მან გამოიყვანა, წაახალისა საშრომლად და სამოღვაწოდ მომავლისთვის სამშობლო ქვეყნის ასპარეზზე. ამიტომ ჩვენ აქ ივანე კერესელიძეს თამამად უდარებთ ზემოხსენებულ პირებს, თავის დროის კვალად შედარება რომ იქმნეს მაშინ იქმნება ეს უფრო ბევრის შრომით აღმოჩნდეს.

ივანე კერესელიძე დაიბადა 1827 წ. ქ. ტფილისში, ამის მამა იმერი იყო, აზნაურის შვილი, იმერეთიდან ტფილისში გადმოსახლებული. თავის დროის კვალად იგი

სახელოვან კაცად ითვლებოდა. ეს პირი მოესწრა საქართველოს უკანასკნელ ბატონის-შვილებს, მათი ცნობაც ჰქონდა, ნამეტურ კარგად იცნობდა ალექსანდრე ბატონიშვილს, პირველ დროებში თვით ამ ბატონიშვილების კარზე მსახურებდა. თეკლე ბატონიშვილიც იცნობდა, იმერი ივანე ზრდილობის გამო ისე მოსწონდათ, რომ მას ერთ დროს მამულების გამგეობაც მიანდეს. იმ დღიდან გახდა ეს დაახლოვებულ პირათ ალექსანდრე ორბელიანის, თეკლე ბატონიშვილის შვილისა. ყველა ბატონიშვილების წინაშე ისეთ სიყვარულს და გულ-მტკივნელობას იჩენდა, რის გამო მას ბატონიშვილებიც უაღრესად უწყებდნენ პატივისცემით მზერას.

ეს პირი იქამდის ნდობილ იყო, რომ მას სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა. აქედან ყველანაირ ცნობებს ატყობინებდა, თან იმედებსაც სწერდა, აგულიანებდა მას.

შენ რომ კახეთში შემოხვალ სპარსეთის ჯარით, მაშინ მთელი კახეთი შენსკენ დადგება და მეც მთელის მთიულებით თქვენ დაგხვდებით ამა და ამ ალაგას და თქვენს ჯარს შეუერთდებიო.

ალექსანდრე ბატონიშვილიც დაიმედებული იყო ივანეს დაპირებაზე. მას საქართველოში ბევრი თანამომხრე და თანამოაზრე ჰყვანდენ. თანამოაზრეებში ერივნენ ისეთნიც, რომელნიც საქართველოში, ქართველთ შორის, ალექსანდრე ბატონიშვილის თანამომხრეებს ჯეროვან ყურადღებას აქცევდენ. ესენი ყურადღებას აქცევდენ ნამეტურ იმ პირებს, ვისზედაც ღალატის ეჭვი ჰქონდათ აღებული. ამათ ივანე კერესელიძეს ღალატი შენიშნეს, ეს ამბავი მალე ალექსანდრე ბატონიშვილს აცნობეს. ბატონიშვილს ჯავრი მოუვიდა. ღალატში ბრალდებოდა რუსების მიმხრობა, ბატონიშვილების მომხრეო-

ბისაგან განდგომა ქართველთ სავნოთ. ბატონიშვილმა თავის თანამომხრეებს წერილი მოსწერა ასე:

შევიტყე, რომ კერესელიძე ჩვენი მოღალატე ყოფილა, მას უტყუილებივარ. ამას არ მოველოდი, ამიტომ მოგწერთ ჩემს ერთგულთა და საქართველოს მოყვარეთა, რომ ეგ კერესელიძე უსათუოდ სიკვდილით განიკითხოთ. სხვა სასწავლებელი მაგისთანა კაცებისათვის უკეთესი არა იქმნება-რა, ეს მოიყვანს მათ ჭკუაზე, რამდენიმე მაგალითის შემდეგ სხვები აღარ იზმენ ასეთ მოტყუილებას, ქვეყნის ღალატს, პურ-მარილის დავიწყებას. ბატონიშვილის მოწერილობა მალე მიიღეს საქართველოში. მის თანამგრძნობელთ ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს. კერესელიძე მთიულეთში დაიჭირეს, ერთ სოფლის სახლში დაამწყვდიეს, მეორე დღეს დახრჩობას უპირებდნენ. მან საიდუმლოთ კაცები მოისყიდა და შუაღამისას სახლის ბანიდან აიპარა და გაიქცა, გათენებისას ალექსანდრე ბატონიშვილების კაცებმა შეიტყეს მისი გაქცევა, ესენი მალე გამოუდგნენ, გზაში დაეწიენ, ჯერეთ თოფით დაკოდეს, მერე დასჭრეს, დაკუწეს, იგი იქვე დაკრძალეს.

ამ დროს კერესელიძის სახლობა თეკლე ბატონიშვილის კარზე სცხოვრობდა, რადგანაც კერესელიძე ბატონის ქალის გამგეც იყო. ივანე ივანეს ძე კერესელიძეც თეკლე ბატონიშვილის მონათლული იყო. თეკლე ბატონიშვილი ქვრივს კერესელიძეს და მის ერთად-ერთ შვილს ივანეს დიდად ეხმარებოდა. სახლი ამათ ბატონიშვილთან ჰქონდათ, და აგრეთვე საგძალი: სასმელ-საჭმელი, შეშა, ტანთ-საცმელი. მოკლულის კერესელიძის ისეთი პატივისცემა ჰქონდა თეკლე ბატონიშვილს, რომ პატარა ივანე კერესელიძეც თავის ხარჯით იმ დროის კეთილშობილთ სასწავლებელში მიაბარა მოწაფედ. მეფე ერეკლეს ქალს თეკლე ბატონიშვილს თავის ნათლული

ძლიერ უყვარდა. პატარაობის დროს ხელზე დამისომდა და ისე მატარებდაო, იტყოდა ივანე კერესელიძე. ალ. ორბელიანსაც უყვარდა, ორივეს ნატვრა იყო, რომ ივ. კერესელიძე კაი ყმაწვილი გამოსულიყო, ქართული მწიგნობრობა შეეყვარებინა, მომავალში მწიგნობარი გამოსულიყო. თვით თეკლე ბატონიშვილი და ალ. ორბელიანიც მწიგნობარი პირნი იყვნენ, თავიანთ დროის კვალად ესენი უპირვლეს პირებათ ირიცხებოდნენ. ამათ გავლენა ივ. კერესელიძეზე უმნიშვნელო არ იქმნა, რასაც ნატრობდნენ იგინი და რაც სურდათ, მართლაცა და ივ. კერესელიძეც სწორეთ ასეთი გამოვიდა, მომავალში მან თავის ასპარეზათ ქართული მწიგნობრობა ამოირჩია. ივ. კერესელიძე იტყოდა ხოლმე, რომ ხსენებული პირების დარიგებას ჩემზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა, რასაც იგინი მარიგებდნენ მეც იმას ვინერგავდი გულშიო.

მე ჯერეთ სკოლის სკამზე ვიჯექი, რომ ქართულად ლექსების წერას შევეჩვიე. რასაც დავწერდი, იმას ხან ბატონიშვილს ვაჩვენებდი და ხან ალექსანდრესაო, იგინი გაშინჯდნენო. ამ დროს, ტფილისში ნ. ბარათაშვილი უკვე სახელოვნებდა მელექსეობითაო. მე ეროხელ ანჩიხატის ეკკლესიაში წავედი და იქ ეკკლესიის გალავანში ვნახე, მას ჩალის ქუდი ეხურაო. მაშინ ტფილისში იყვნენ თითო-ოროლა ისეთი ქართველნი, რომელნიც იმ დროის მოწაფეებს ერთად გვაგროვებდნენ და მწიგნობრობის სიყვარულს გვიქადაგებდენ. ასეთ ქადაგებით გამოჩენილი იყო ალ. ორბელიანიო. 1835 წლებში, ქართველთათვის, მართლაცა და მწიგნობრობის მეტი სხვა რაღა უნდა ყოფილიყოს უმთავრეს იარაღათ გამხდარი. ძველს მოძრაობას თავისი ფერი გაუხუნა. შეგნებულ პირთათვის აქ ქართველი კაცი-ღა გახდა საძე-

ბარ-საპოვარი სამთლით, მის ძებნა და საჭიროს მიდრეკილებით გახმაურება, რაც უფრო მოქალაქობით გაერთიანებას იჩენდა, ქართველთ თვალის გახილების და ფეხზე წამოდგომას.

შემდეგ და რაის მეოხებითაც მათ ძველი ცხოვრების ბევრი რამ უნდა გარდაცვალებულიყოს, მას თავის სახე უნდა შესცვლოდა. ამიტომაც იყო, რომ მაშინდელ შეგნებულ პირები ცხადლივ მიეცნენ საჭიროს მხარეების აღორძინების საქმეს, ასეთ საქმეთ მათ ქართველ ახალგაზრდების გაჩენა დაინახეს და მათგან ქართველთ საქმეების წელში გამაგრება.

უნდა ითქვას, რომ ასეთ პირთა რიცხვი მაშინ სულ ორიოდ პირისაგან შესდგებოდა. საუბედუროთ, ვინც იყვნენ მაშინ და ვისაც ქართველთათვის გული შესტკივოდათ, თვით ესევე პირნი სამწუხაროდ ისეთ შეცდომებში იყვნე ჩაცვივნულნი, რა შეცდომაც ჩვენი დროის კაცს ყველას გააკვირვებს, განაცვიფრებს. ასეთ პირების შესახებ საუბრით მე შორს არ წავალ, მაგალითად დავასახელებ თუნდა ალექსანდრე ორბელიანს, რომელსაც საქართველო ძრიელ უყვარდა, მაგრამ იგივე პირი იმავ დროს, თავის ქართველ ყმებთაგან მარჯვნივ და მარცხნივ გოგო-ბიჭებსაც ჰყიდდა, ამის მსგავსი ფაქტიური ცნობები ჩვენ ბევრი გვაქვს. ამაზე თვით ივანე კერესელიძეც ლაპარაკობდა და თან ბატონობასაც ამართლებდა, დრო იყო ისეთი, რომ მებატონეს ეს მაშინ არ დაეძრახებოდაო. მაგალითებრ ერთხელ ეი რა მიამბო მან:

ქართლში, ერისთავისაგან, ალ. ორბელიანს 150 მან. ერთ ოსის ოჯახი ეყიდნა, ყველა ესენი ტფილისში ჩამოიყვანეს და ბატონიშვილის სახლის გვერდით ერთ ოთახში იყვნენ დამწყვდეულნი. ყველა ესენი საცოდავათ ბღავოდნენ, ეშინოდათ, რომ ბატონმა ცალკ-

ცალკე არ დაგვყიდოსო. მათის ტირილისაგან ყველას სიბრალული მოსდიოდა, მეც მეცოდებოდნენ, მაგრამ ბატონს აბა რას გაუბედავდი. მე მაშინ მოწაფეთ ვიყავიო. ალ. ორბელიანმა ამ ყმათა დედა-კაცი სომხეთში გაყიდა, კაცი კახეთში, და ერთი გოგო ჰყვანდა, ის კი შინ დასტოვა მოახლეთ, მერე თავის ქალს დარიას გაატანა მზითევში ქობულოვზეო და შემდეგ ეს გოგო მათ ერთ პარტნოვზე გაათხოვესო. ასე იყო მაშინ ჩვენშიო. მე რომ ამგვარს ცნობების აღწერას შეუდგე, ეს მაშინ ერთობ შორს წავა, შორს წავა მით უფრო, რადგანაც ხსენებულ წლებში, ქართველებში აღორძინდა ყმათა გასყიდვა, მათი ანიავება, ჩაგვრა და სხვანი, მამულების დაყიდვა, ლოთობა, უზომოთ ქეიფი, ოთხსავ კუთხივ ფლანგვა და ყველაფრის პირქვე დამხობა, მთელი ქვეყნის და საერო საქმეების გაქარწყლება, დანაცრება და სრულიად დაღუპვა, რასაც კაცი სისხლის ცრემლით უნდა ასწერდეს. ამ წუთებს ერთობ კარგათ ეხება ისევ და ისევ ვ. ორბელიანი თავის ლექსებში.

ასეთ არეულ-დარეულ დროს დაიბადა ივ. კერესელიძე და თითქმის ასეთსავე ერში გაიზარდა იგი და თვალები გაახილა. კაი გმირი და ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო ეს პირი, რომ იმ გათახსირებულს დროში, უმრავლესობის ბრბოს არ აჰყოლოდა და უკანასკნელ შეძლების და გვარად ობოლი კაცი კაცურ კაცად გამოსულიყო, ამით საქებია არა მარტოდ ივ. კერესელიძე, არამედ ყველა ის პირნი, ვინც კი მაშინ სცხოვრობდენ, ადამიანურს გზას კვალი არ გადაუხვიეს და კაცნი სამერმისოდ კაცად დაშთენ და თავიანთ შეძლების და გვარად რამე საქმეც გააკეთეს. თავიანთ დროის შესაფერად და უმცირესთა სამკალმა უხვად შექმნა მომკვლელნი მომავლისათვის.

ივ. კერესელიძე საყვარელი პირი ყოფილა კარგის ქართველობით, იგი მაგალითი იყო ამით. სკოლაშიაც სამაგალითოდ იქცეოდა, ყველა მოწაფე **ვანო კერესელიძეს** აღტაცებით მოიხსენებდა, ყველა აქებდა, როგორც კარგს ქართველს. ივ. კერესელიძე სკოლის სკამზე იჯდა, იგი რომ ქართულის წიგნების შედგენას და ბეჭდვის საქმეს უკვე კარგად ეჩვევოდა. გიმნაზიის სწავლის დამთავრების პირველის წლიდან უკვე წიგნების ბეჭდვაც დაიწყო. მაშინ ესეთი საქმე დიდს ნარუქათ უნდა ჩაითვალოს, შესამჩნევ მოვლენათ და დღეს კი რომ ითქვას, იგი დიდი არაფერია, რადგანაც ჩვენ დროში წიგნების ბეჭდვა, წერა, გამომცემლობა და მეწიგნობა ადვილს საქმეს შეადგენს, აქ დღეს კაცს თუ ხალისი აქვს და წიგნს გამოსცემს, ის მასთან თუ ეცდება, ამ წიგნს გაჰყიდის კიდეც და ამ განაყიდის ფასით, ანუ ანალებით მეორეც შეეძლება რომ გამოსცეს. თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ დღესაც კი ბევრი გამომცემელი ზარალობს; მე ვიცი კარგათ, რომ რამდენიმე პირმა ქართული წიგნები გამოსცეს იმ აზრით, რომ შემდეგ ამ გამოცემის ფულით სხვებსაც გამოვცემთო, მაგრამ მათ სხვა ველარ გამოუციათ, რადგანაც ამ გამოცემიდან ვერაფერი აუღიათ. ჯერ დღესაც ხომ ხდება ასე, ისეთ დროს, როცა წიგნებს გასავალიც უჩანს, აბა მაშინდელს დროზე რალა ითქმის, ცხადი საქმეა, რომ მაშინ მწიგნობრობის საქმე სულ უკუღმა იქმნებოდა დაყენებული.

ეს თვით იმ დროის პირებსაც უამბნიათ ხოლმე, დაუსაბუთებიათ, რომ მაშინ ქართული წიგნები თაგვების სახრელათ იყო გამხდარი. თუმცა ბევრი არაფერი იბეჭდებოდა, მაგრამ რაც იბეჭდებოდა, ისიც თითქმის ოხრათ რჩებოდა და მისი ხელში ამღები არავინ იყო, რის მეოხებით გამომცემელიც ყოველთვის ზარალში

იყო. მართალია, მაშინ წიგნები მცირედ იბეჭდებოდნენ, მაგრამ იმ მცირეს წამლებნიც არავინ იყვნენ. მაშინ კაცს კაი გული უნდა ჰქონოდა, რომ ყველა ესენი დაეთმინა, ერთად-ერთი გარემოების მეოხებით დაეძლია ყოველივე, მასთან თავის საკუთარ შრომის გარდა ფულიც უნდა ეხარჯა და ყოველივე ზარალი და სიდუხჭირე უნდა დაეთმინა მხოლოდ მიტომ, რომ მომავლისთვის ქართული მწერლობის ასპარეზი განმტკიცებული-ყოს ქართველთ შორის.

ასეთ პირათ ჩვენ ვხედავთ ივ. კერესელიძეს. ამან სწავლა დაამთავრა 1852 წ. ამავე წელს მან გამოსცა პატარა ქართული ანბანის წიგნი „**მოკეთე სიტყვა**“ მაშინდელის რუსულის პედაგოგიურის წიგნის „დრუგ დიტეის“ მინაგვარად. ამავე წელს ივ. კერესელიძემ სხვა ქართული ლექსის წიგნაკებიც დასტამბა. ყველა მის წიგნებს ხალხი სიამოვნებით ჰკიდებდა ხელს, რადგანაც იგინი იქმნენ ადვილის გასაგების ქართულის ენით შედგენილი, მეორე შესაფერის სახალხოს ამბებითაც შემკული. უნდა ვსთქვათ, რომ ივანე კერესელიძემდის ქართველთ სხვა გამომცემლებიც ჰყვანდნენ. მაგალითებრ როგორც ბ. იოსელიანი. ამ პირმა 1840—1857 წლამდე 6—7 ქართული ანბანიც დასტამბა და მასთან სხვა ქართული წიგნებიც, მაგრამ ყველა იგინი ისეთის ენით იყვნენ ნაწერი და ისეთ ამბებით აღვსილნი, რასაც იმ დროის ქართველი ხელში კი აიღებდა და წაიკითხავდა მხოლოდ მიტომ რომ იგი ქართული ასოებით იყო დაბეჭდილი, თორემ სხვაფრივ იქიდან ვერაფერს გაიგებდა, ჩვენ ეს წიგნები დღესაც ხელთა გვაქვს, ვკითხულობთ და მისი ვერა გაგვიგია-რა, არ ვიცით ვისთვის იყო მაშინ იგი საჭირო და ან სად ვისგან, რაში იხმარებოდა.

იმ დროს, როდესაც ივ. კერესელიძემ ქართული მწიგნობრობა დაიწყო, გ. ერისთავიც მოღვაწეობდა ქართული მწერლობის ასპარეზზე. ამან მოახერხა და სხვათა დახმარებით გამართა ქართული წარმოდგენები და 1852 წლიდან ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემაც დაიწყო. მეორე წლის გასულს ჟურნალი დახურა გ. ერისთავმა და 1855 წლიდან ქართული წარმოდგენებიც მოსპო. ივ. კერესელიძე გ. ერისთავს იმ დროის ქართველთ სამთლად სთვლიდა. ხოლო ის კი არათ მეპიტნავებოდა, რომ იგი მეტად ფულის მოყვარე იყო, ძუნწი და ამ სიძუნწის მეოხებით ადვილად დახურა „ცისკარი“ და შემდეგ თეატრიც ზედ მიაყოლაო. ჩვენ ყველა იმ დროის მწიგნობართ და ნამეტურ მე ძრიელ მეწყინა. „ცისკრის“ დახურვამ ერთობ დამალონა, ჩვენ ნაკლულევანებას ცხადათ ვგრძნობდით და ამიტომ უფრო გვეწუხებოდა „ცისკრის“ დახურვა, ერთად ერთ ქართულ ჟურნალის, მრავალნი კი ყურსაც არ იბერტყავდნენ, მათთვის აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. ჩვენ ხშირად ვყვედრეთ. გ. ერისთავს, ვეუბნებოდით:

— „ცისკარი“ რათ დახურეთ?—იგი ამბობდა

— ხელის მომწერი ცოტა იყო, დახმარება არსაიდან რა მქონდა.

პირველ წელიწადს მთავრობისაგან 600 მ. მიელო ჟურნალის გამოსაცემ დასახმარად. „ცისკრის“ დახურვა ჩვენ მით უფრო გვწყინდაო, რადგანაც მის ნებართვა 1851 წ. დიდის წვალებით იქმნა აღებული.

ქართული მწერლობის ასპარეზი დაცარიელდა, აქ ხანდახან პ. იოსელიანი ბეჭდავდა ქართულსა და რუსულს წიგნებს საქართველოს შესახებ, ზ. ანტონოვი თავის კომედიებს ბეჭდავდა და თითო-ოროლა წიგნსაც მე ვბეჭდავდიო. ისევ მე, ზ, ანტონოვმ და რამდენიმეც

სხვა პირნი შეეიკრიბენით და ჩვენ დავიწყეთ შრომა როგორც წარმოდგენების გასამართავად, ისე ქართული წიგნების საბეჭდათ. ჩვენს მოქმედებას მოჰყვა ის შედეგი, რომ მერე სხვებმაც გაახილეს თვალი, აგვყვნენ ჩვენა და მათაც დაიწყეს დრტვინვა ქართულ წარმოდგენებზე და წიგნების ბეჭდვაზედო. მე სამსახურში შევედი, იმ დროის გიმნაზსის ზედამხედველად. იმავ დროიდან გულში ჩავინერგე „ცისკრის“ განახლება, ან სხვა რამ ქართული ჟურნალის გამოცემა. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი აზრები ზოგიერთებს უთხარი. ეს განძრახვა ყველას ესიამოვნა, ყველას გაეხარდა, ყველამ სიამოვნება და სიხარული განმიცხადა. სამსახურს მე მალე მოვეწყე, შეეჩვიე ყველაფერს, საქმის აღსრულებაშა გავიმართე, მის შემდეგ საზოგადო საქმის საკეთებლათაც საკმარისი დრო ვიშოვნეო. ამის შემდეგ საზოგადო საქმესაც მოვკიდე ხელი, ეს საქმე იყო ქართული თეატრი, ტფილისში აქა-იქ ქართული წარმოდგენების გამართვა. მაშინდელს ტფილისის თეატრში ჩვენ ნება აღარ მოგვცეს თამაშისა. ამიტომ აქა-იქ სხვა-და-სხვა სახლებში სცენებს ვაკეთებდით და წარმოდგენებს ვახერხებდითო. ხშირად სცენების კეთებისაგან მე ზარალშიაც ვარდებოდიო, რადგანაც წარმოდგენებზე ხალხი ერთობ ცოტა დადიოდაო, ხან საქმე ისე მოხერხებულა, რომ სახლის ქირაში და სცენის ხარჯში გიმნაზიაში ჯამაგირი შეუკრავთ და იქიდან გადმიხდია ვალები.

ჩვენი ქადაგების დედა აზრები ერში ნელ-ნელა იდგავდა ფეხს. მალე ბევრი გამოტყდა ქართული ჟურნალის გამოცემის საჭიროებაშიო. მე სადაც წავიდოდი ყველგან ამაზე მქონდა საუბარიო. ამაში ზოგიერთებიც მახალისებდენო. რამდენ გზისმე აქა-იქ კრებებიც დავნიშნეთ და იქ ჟურნალის გამოცემაზე საუბარი ავტეხეთო.

ვისაც კი ესმოდა ჟურნალის გამოცემის ცნობა, ყველა თანხმა იყოვო, ყველა სიამოვნებას აზცხადებდაო. 1855 წ. ერთს კრებაზე გარდავწყვიტეთ ჟურნალის გამოცემაო. მერე სთქვესო, თუ რა გამოვცეთო. ზოგმა სთქვა „ცისკარი“ განვაახლოთო, ზოგმა სხვა ახალი ჟურნალის სახელი დაასახელაო. ამასობაში გავიდა 1855 წ. და ჩვენ კი ვერ ვბედავდით მთავრობის წინაშე თხოვნის წარდგენასაო, მოვიდა 1856 წელი, ამ წელს კი გარდავწყვიტეთ თხოვნის მიცემაო. ზოგმა რა სთქვა, ზოგმა რაო, ბოლოს გარდავსწყიტეთ, რომ ისევ „ცისკრის“ გამოცემის, ანუ განახლების ნებართვა ვითხოვოთო, თორემ ვაი თუ სხვების გამოცემის ნებართვა არ მოგვცენო.

შემდეგ, ანუ მეორე კრება ალ. ორბელიანის სახლში მოხდა, სხვათა შორის, იქ დაესწრო დ. ყიფიანიც. საუბრის შემდეგ პროგრამის შედგენა დ. ყიფიანს მიანდესმან იკისრა და შემდეგის კრებისათვის წარმოადგინა. კრებაზე წესდება განიხილეს, მაგრამ სასარგებლოდ ვერ სცნეს, რადგანაც პროგრამაში მოხსენებული იყო, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეკონომიური და სხვა ამ გვარი ნაწილებიცაო. ყველამ სთქვეს, რომ ამ პროგრამით ჟურნალის გამოცემის ნებას არ მოგვცემენო. ამიტომ ეს პროგრამა დასტოვეს და მერე სხვა შეადგინეს, უბრალო პროგრამა, ისევე, როგორც წინეთ შეედგინათ და მეც ეს წარვადგინე, ნებართვა მივიღე 1856 წლის დამლევს და 1857 წლიდან გამოცემაც ვიწყე „ცისკრის“, ამის ნებართვაც გვიძნელდებოდაო. „ცისკრის“ სახელით გამოცემა მეც კი არ მინდოდაო. ზოგი ამბობდა, რომ „ცისკარს“ სახელი გამოვუცვალოთო. ზოგმა სთქვა „მზეო“, ზოგმა „ვარსკვლავი“, ბოლოს ეს ვამჯობინეთო. ვიდრე გამოცემას დავიწყებდით, მინამდის ხალხში „ცისკრის“ გამოცემის ცნობებს ზოგიერთ კეთილ პირები

ავრცელებდენო. სხვათა შორის, ალ. ორბელიანმა „ცისკრის“ გამოცემისათვის 1856 წ. ერთი პატარა წიგნიც დაბეჭდა, სახელდობრ **„ქართულის ენისთვის“** ამ წიგნაკით იგი ქართველთ ევედრებოდა „ცისკარზე“ ხელის მოწერას,— იგი ამბობდა:

აბა, შეხედეთ სხვებსა, რა გვარ ეხმარებიან თავიანთ ენის მწიგნობრობასა; დროა ჩვენც თვალები გავახილოთ, და დახმარება ამოუჩინოთ „ცისკრის“ გამოცემასა.

რადგანაც ივ. კერესელიძე შეუძლო იყო და „ცისკრისთვის“ გამოცემის ძალა არ ჰქონდა, ამიტომ რედაქცია ალ. ორბელიანმა თავის სახლში მოათავსა. ივ. კერესელიძესაც დახმარება დაჰპირდა, 1857 წლის პირველ იანვრიდან ტფილისში „ცისკარმა“ იწყო გამოსვლა. ეს გამოცემა თუმცა მდიდარის შინაარსის არ იყო, მაგრამ რაც იყო, გ. ერისთავის გამოცემას მაინც სჯობდა. პირველ წელიწადს ხელის მომწერი ცოტა ჰყვანდა. სტამბის საქმეც ძნელი იყო მაშინ, ამიტომ ივ. კერესელიძემ განიზრახა საკუთარი პატარა სტამბის შეძენა. ესეთი პატარა სტამბა გ. ერისთავსა ჰქონდა, მას ეს მთავარმართებლის სტამბიდა აჩუქეს „ცისკრის“ დასაბეჭდათ. ივ. კერესელიძემ მიმართა გ. ერისთავს და სტამბის სყიდვა სთხოვა, იგი თანხმა გაუხდა, და ამაზე მალეც მორიგდნენ 900 მანეთად. დაზგა ხისა იყო. ძველებურად ნაკეთი. პირველ წელიწადს ხელის მომწერლად 120 ჰყავდა. ამან რედაქციას ზარალი შესძლენა. მეორე წელიწადს 200-მდე ავიდა, რედაქტორს იმედი ჰქონდა, რომ ეხლა კი საქმე კარგათ წამივა მით უფრო, რადგანაც სტამბაც შევიძინეო. ორი წელიწადი როგორც იქმნა ატარა და მესამე წელიწადში გადადგომა უახლოვდებოდა. მალე მესამე წელშიაც გადავიდა-

და იმედი მქონდა, რომ ამ წელს გ. ერისთავს 300 მ. მივცემდიო. გ. ერისთავმა ალარ დამაცალა, ფული მომთხოვა, მე მალე 300 მ. ვიშოვნე, მიუტანე და მივეცი. მერე 300 მ. უშოვე და სტამბის ახსნა ვსთხოვე, მაგრამ მან არ ინდომა, ასე სთქვა:

მინამ 300 მ. არ მოიტანა, მინამდის სტამბის ახსნას თვალით ვერა ნახავო. მე ფული არა მქონდა, 600 მ. სულ წვრილათ ვივალე. მეტი რა გზა მქონდა, ჟურნალი გავაჩერე. მე დიდათ მომწყდა გული, რომ ახლად დაბადებულ საქმეს და ისიც თვით გ. ერისთავისაგან დაარსებულ „ცისკარს“ ასე მოექცა, ასე დაწიხლა, ერთად-ერთი ჟურნალი გააჩერა. მივედი და ვსთხოვე, რომ ამოწყობის ნება მომეცი, რომ დრო მაინც არ დავკარგოვო, როცა ფულს მოგიტან, მაშინ მომეცით ბეჭდვის ნება. მან ცივი უარი მტკიცა ასეო:

— გაიგე და შეიტყე, რომ ვიდრე 300 მ. არ მოიტან, მინამდის არა იქნება-რა.

მე აქეთ-იქით მივაწყდი, მაგრამ ვერსაიდან რა ვიშოვნე, ხელის მომწერთაგან ხომ ფულის აღება ადვილათ არ შეიძლებოდაო, რადგანაც ზოგი ხელის მომწერნი „ცისკრის“ ფულში ფქვილს, ხორბალს, ღვინოს შეშას, ნახშირს და ამ გვარებს იძლეოდნენო. ზოგი ცხვარს, თხას, ქათმებს გზავნიდა, ზოგი ძროხას. მე დიდათ დაღონებული ვიყავი, და არ ვიცოდი, რა უნდა მომეხერხებინა. დღე დაღამდა და არსაიდან-რა ხსნა იქმნა. ღამის 10 საათი იქნებოდა, ვიღაცამ კარის ზარი დარეკა, მე კარი გავაღე, ერთმა კაცმა წერილი მომცა, მომტანს ვკითხე ვისგან არის ეს წერილი, მან გვარი მითხრა, მე შინ შეველ, ის კაცი მაშინათვე წასულიყო, მე გავხსენ წერილი, შიგ 300 მ. იდო და მასთან წერილი ასეთის შინაარსის რუსულათ დაწერილი:

„ძმაო ივან ივანიჩ! ამ დღეებში მე თქვენა გნახეთ და შეგატყეთ, რომ გ. ერისთავისაგან ძრიელ დარდიანად იყავით, რადგანაც თქვენი ერთად ერთი ჟურნალი „ცისკარი“ შეუძლებლობის გამო დახურულა. ასეთ საქმეს მე პატივს ვსცემ, ვაფასებ, რომ თქვენ, ქართველთათვის ჟურნალი დაარსეთ, მე უკანონოთ მიმაჩნია მისი შეჩერება, მე თანაუგრძნობ მის არსებობას, ამიტომ გიგზავნით 300 მ. გარდაეცით ერისთავს და მით დაიხსენით სტამბა და „ცისკრის“ ბეჭდვაც განაგრძეთ, რაც შეეხება ამ 300 მ. ეს თქვენ გარდამიხადეთ ისე, როგორც შეიძლოთ. თქვენი საქმის პატივის-მცემელი **შეზტაკოვი**“.

ეს პირი ყოფილა იმ დროის გიმნაზიის ერთ მასწავლებელთაგანი, რუსი, თავის დროის კვალად დიდათ განათლებული და მასთან ადგილობრივ ხალხთ ვითარების კარგათ მცოდნეც. ბიჭს პასუხიც ველარ მოუსწარ, ისე დაერიგებინა, რომ კონვერტის მიცემის შემდეგ შინ წამოდიო. გათენდა დილა, მე მაშინათვე გიორგი ერისთავთან წაველ, მივედი და 300 მ. მივეცი და თან დაუყვირე:

— აჰა, მიიღე, ეხლაც არ ამიხსნი სტამბას?—მან მომიგო:

— ფული კი მომე და რაც გინდა ქენი!

სტამბა ახსნა. ეს ამბავი მე მაშინათვე „ცისკრის“ თანამშრომლებს ვუამბე, ყველა გაჰკვირდა ზემოხსენებულ რუსის მასწავლებლის საქციელზე, ყველა გაკვირვებული იყო. უფრო გაკვირვებული იყვნენ აგრეთვე თვით გ. ერისთავზეც. ნახეთ უცხო კაცმა რა ქმნა და ჩვენმა, შინაურმა, ქართველმა მწერალმა კი რა ჩაიდინა, ჯიბრის გამო 300 მ. სტამბა დაკეტა და ერთად ერთი ქართული ჟურნალი „ცისკარიც“ შეაჩერა. ისიც ისეთი

ჟურნალი, რომელიც თვით მანვე დაარსა, რომელ ჟურ-ნლის სახელიც მას ეკუთვნის და რის დახმარების მოვა-ლე თვითაც იყოვო.

ასეთის ვაი ვაგლახით დაარსდა „ცისკარი“, ასეთივე უბედობა დახვდა მეორე წელიწადს და ეს არც მესამე წელს ასცდენია თავიდან, ამას ქვემოთ ნახავთ. პირველ ნომრის „ცისკრის“ პატარა შენიშვნა გამოცემის შესახებ საზოგადოებასთან თითქმის მუდარებით არის მიმართული, იერემიას გოდებათ: დაეხმარეთ „ცისკრის“ გამოცემას, შეუდექით დედა-ენის პატრონობას, „ცისკარს“ უშველ-ლეთ რამე და გაიწერეთ. რათა ჩვენი დედა-ენა არ და-ვკარგოთ. ასეთს თხოვნებს და ხვეწნებს ჩვენ ყოველ ნომერში ვხედავთ დაბეჭდილს, ასეთი მუდარება არც შემდეგ წლებში მოსპობია, რადგანაც გამოცემის გაჭი-რება ყოველთვის კარს ედგა რედაქციას. წლის ბოლოს, აი რა გვარი განცხადება არის დაბეჭდილი:

„განცხადება, მომავალს, 1858 წლიდან, კვალად გამოიცემა „ცისკარი“ ქართული სალიტერატურო ჟურნა-ლი. აქამომდე გამოცემულმა „ცისკარმან“ ისე განაღვიძა ხალხში სურვილი როგორც კითხვისა, აგრეთვე წერისა, რომ მრავალნი პირნი შორის ალაგებითგან გვთხოვენ პირ-ველის იანვრიდან გამოცემულს წიგნებს. ესე ყოველი გვა-ძლევს იმედს, რომ თანდა-თან მიეცემა ჩვენი ჟურნალი დიდსა წარმატებასა. ამისათვის ვხმაროობთ ყოვლისა ღონის ძიებასა, რათა გამოვსცეთ მომავლის წლიდან განშვენიე-რებით და განვრცელებით „ცისკარი“, რომლისათვისაც მოვიწერეთ ს.-პეტერბურგიდან ჩინებული ასოები, ოთხ გვარნი“ და სხვანი. ზოგი განცხადება პირდაპირ მუდა-რებას შეადგენს. ეს განცხადება იმდენათ არაფერია, ამას ოტაოდენ სხვა გვარი სახე აქვს, უფრო კრძალვითი. ზოგში რედაქცია პირდაპირ სჩივის თავის სილატაკეზე,

შეუძლებლობაზე, უქონლობაზე, სთხოვს, ივალება, რომ მიშველეთ რამე! დაეპატრონეთ „ცისკარსაო“, რომ ეს ერთად-ერთი მამა-პაპეული ჟურნალი არ მოგვესპოსო, ბგერა, მიხედეთ სომხებსაო და სხვანიც მრავალნი ამ გვარნი.

„ცისკრის“ პირველ წლების თანამშრომლებათ აღმოჩნდნენ ლ. არდაზიანი, გრ. რჩეულოვი, ივ. კერესელიძე, დ. ყიფიანი, ორბელიანები, იოსებ მამაცაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი და ზოგნიც სხვანი, ზოგნი შემდეგ ემატებოდნენ. 1858 წლებიდან მიემატნენ აკაკი, ილია, გიორგი წერეთელი, ან. ფურცელაძე, დ. ბაქრაძე, მ. გურიელი და ზოგნიც სხვანი, რომელთაც შემდეგ ჩვენი მწერლობა დაამშვენეს. ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა თითქმის „ცისკარში“ ამოიღეს პირველად ხმა, პირველად იქ დაიწყეს წერა, პირველად „ცისკარში“ გამოვიდნენ საშრომლად, ამ გამოცემის საშვალებით გამოვიდნენ იგინი საზოგადო სამოღვაწო ასპარეზზედ. მოკლედ უნდა ითქვას, რომ „ცისკარმა“ მოუყარა მათ ერთად თავი და ქართულს წერახა და მწერლობასაც შეაჩვია.

„ცისკრის“ რედაქციას დიდის წვალებით ნაშოვნი სტამბა დიდ ხანს არ შერჩა ფარსაგათ, მესამე წლის ბოლოს საბეჭდი სტანოკი (დაზგა) ისე გაუტყდა, რომ მის გადაკეთება, ანუ განახლება შეუძლებელი გახდა, რედაქციას წელი მოსწყდა, სხვა სტამბებშიაც მაშინ არ იყო იმდენი ასოები, რომ „ცისკრის“ ბეჭდვა ეკისრათ, გინდ ეკისრად იგი ისე ძვირად იქმნებოდა, რომ მის ხარჯს ღარიბი რედაქცია თავის დღეში ვერ აიტანდა, ვერ გაუძღვებოდა, როგორც იქმნა ხის დანჯღრეული სტანოკი დააკოწიწეს, ისე რომ მას ორი-სამა თვე კიდევ შეეძლო ემუშავნა. „ცისკრის“ წყობა არ შეაჩერეს და

ივ. კერესელიძეც ახალი სტანოკის შეძენის საქმეს და ფიქრებს მიეცა, მაგრამ საიდან და რითა, არ საიდან-რა ლონისძიება უჩნდა, ბოლოს ეს ლონისძიება მოუგონია:

1860 წლებში, საქართველოში, ქართველთ შორის, დამსახურებულ ქართველთ მოწინავე პირნი მრავლათ სცხოვრობდენ. მათში ერივნენ ისეთი მოხელენიც, რომელთაც ხანდის-ხან მთავარ-მართებლის თანაშემწის ადგილი ეკავათ. ზოგნი ხანდისხან მთავარ-მართებლობასაც ასრულებდნენ. ყველა მათ ქართული ენა კარგათ იცოდნენ. „ცისკარსაც“ იწერდნენ. ზოგი ქართულს ენაზე არას კითხულობდა, მაგრამ „ცისკარს“ კი მაინც იწერდა.

„სალაყბოს ფურცლის“ გამო პეტერბურგიდან ილ. ჭავჭავაძისაგან წერილი მივიღე, იგი მწერდა, რომ ძრიელ მომწონს. „სალაყბო“ სწორედ ეგრე უნდა წერაო. ყველას მოსწონდა სალაყბოვო. ასე იყო მაშინ ზოგიერთ პირებთ ოჯახებში დაყენებული ქართველთა საქმე, თუმც ისეთი ოჯახებიც ასობით იყო, სადაც ქართული ყოველისფერი იგმობოდა, იდევნებოდა და თვით მასხარათაც იყო გამხდარი. ბევრს თათბირის შემდეგ მე მოვისაზრე შემდეგი: ერთ დღეს დავსწერე რამდენიმე წერილი, ეს წერილები აქა-იქ ქართველ დიდ-კაცობას დაურიგე და ყველას ვსთხოვე საჭირო საქმის გამო ჩემს რედაქციაში მობრძანდეთ საღამოს 8 საათზე, მცირე დროს დაკარგვა და მით მოსმენა ერთის საყურადღებოს საქმის. იმ დღეს, პოლიციასაც გავაგებინე, რომ საღამოს, ჩემს სახლში რამდენიმე კაცი მოვა და გთხოვთ, გზაში დარაჯათ კაცი დააყენეთ, რომ მათ გზა უჩვენონო. საღამოს რვა საათზე დაიწყო ფაიტონებმა გრიალი და ცხრა საათამდე ოცამდე ქართველთ მოწინავე პირნი მოვიდნენ, მე მივიღე, ჩაი, ხილი და სასმელი მივართვი. მერე გ. მუხრანსკიმ მითხრა: **„ეს ყველაფერი კარგი, რომ**

მოგვართვი და პატივი გვეცით, ბაგრამ ახლა ერთი ისიც გვითხარი, თუ აქ ჩვენ რისთვის დაგვიბარე, რა გესაქმება ჩვენთან, რა საქმე გაქვთ, რა გინდათ, გვითხარი“. ამის შემდეგ ივ. კერესელიძეს შემდეგის სიტვით მიუმართავს:

„დიდად პატივცემულნო ქართველნო! დიახ, საქმეზე მოგიწვიეთ, თორემ ყოველ თქვენთაგანს ჩემზე უკეთესი ჩაი და ხილი მოეპოვება სახლში. მეც ეხლავ მოგახსენებთ რაც მწადიან. სამი წლის წინეთ, გ. ერისთავისგან მე ვიყიდე პატარა სტამბა, ამ ხნის განმავლობაში რის წვალებით 600 მ. გადავსწყვიტე, 300 მ. ვალი მაქვს კიდევ. ეხლა, უცებ საბეჭდი დაზგაც გამიტყდა ეხლა დავრჩი უბეჭდავი, არ ვიცი რა ვქნა; როგორ რა მოვახერხო, რითი რა ვბეჭდო. საქმე ისე გამიძნელდა, რომ ლამის „ცისკრის“ ბეჭდვა მხოლოდ ამ წლის ბოლომდე ვალოლჩალო და მის შემდეგ კი ბოვსპო, სამუდამოდ დავხურო. ხოლო ასეთი საქმის გაბედვა მე მარტო ჩემითვერ გავბედე, ეს საზოგადო საქმე გახლავთ, ჟურნალის გამოცემა და პატრონობა თქვენც გეკუთვნით. მე გავბედე და ჩემი განზრახვა შეგატყობინეთ, ეხლა საქმე თქვენზე გახლავთ, თქვენ თუ ისურვებთ, მაშინ შეიძლება, რომ ეს ერთად ერთი ჟურნალი „ცისკარი“ არ მოისპოს, თუ არ ისურვებთ და მაშინ ყოველივე შესრულდება, ერთად-ერთი გამოცემა სამუდამოდ მოისპობა და მაშინ მომავალში საერთოდ ვიქმნებით პასუხის მგებელი ჩვენის შთამომავლობის წინაშე“.

ამ სიტყვის შემდეგ ჩქარი საუბარი და ყაყანი შეიქმნა, ერთ-ხმად დაიძახეს, რომ „ცისკრის“ დახურვა არ შეიძლება, არა, არ იქმნება, სირცხვილია, როგორც უნდა იქმნეს და გამოიცეს კიაო. შემდეგ მე მკითხეს: რომ ახლა შენ რაღას ითხოვ, რა გინდა, რომ „ცისკარი არ დახუროვო.

მე, ერთი საბეჭდი დაზგა ვითხოვე, ამის ფასი იკითხეს? მე 1000 მ. დავასახელე. ამაზე ყველა თანახმა გახდა. გ. მუხრანსკიმ სთქვა შემდეგი: ამ 1000 მ. მე მთავრობას გამოვსთხოვ. მაშინათვე ქაღალდი დამიწერეს, მეორე დღეს, ეს ქაღალდი მთავარმართებლის გამგეობაში გ. მუხრანსკის წარუდგინე. მან მაშინათვე რჩევას გარდასცა და თან დასძინა, რომ 1000 მ. დახმარება მივცეთო. ფული მალე მომცეს მე, სტანოკი მალე გამოვიწერე, „ცისკრის“ გამოცემის საქმეც გაიწალდა. მის არსებობის საქმე საიმედო ნიადაგზე დავაყენე. ჟურნალი შინაარსით და სივრცითაც გავაფართოვე და გავაუმჯობესე. შინაარსიის მხრით დაეხმარა ერთი ახალგაზრდა კაცის მოთხრობის „სურამის ციხის“ ბეჭდვა, რომელიც 1859 წ, ბოლოს ნომერში თავი დაიბეჭდა და 1860 წლის პირველ ნომერში დასასრული.

ამ მოთხრობის მოვლენა ქართულ მწერლობაში შესამჩნევ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მის დამწერს დ. ჭონქაძესაც საკმარისი პატივი უნდა ეგოს. 3 წლის განმავლობაში ერთად-ერთი ამ მოთხრობის მეტი, რომ სხვაც არაფერი დაბეჭდილიყოს „ცისკარში“, უნდა ითქვას, რომ ესეც საკმარისად სამწერლო ჯილდოთ უნდა ჩათვლილიყოს. ამ მოთხრობამ ნათელი მოჰფინა როგორც „ცისკრის“ ღირსებას, ისევე მწერლობის ასპარეზზე რიგიანი მიმართულების აღორძინების.

ერთ დროს, „ცისკარი“ ჰყვედრა ნ. ბერძენოვმა*) რომ „ცისკარი“ თავის მოვალეობას ვერ ასრულებს რიგიანათაო, ერთავად ნათარგმნ რომანებს და დრამებს ბეჭდავსო, ამით იგი ხალხს ჟურნალის კითხვას ვერ შეაჩვევსო. უკეთესი იქმნებოდა, რომ „ცისკარს“ ორიგინა-

*) „კავკაზი“ 1859 წ.

ლური ნაწერები ებეჭდაო. ისეთი ნაწერები, რომელსაც ხალხიც იცნობსო, მაგალითებრ, მან დაასახელა: „ბეჟანიანი“. „მირიანი“, „დავრიშიანი“ და სხვანიც ამ გვარნი. ეს ერთის მხრით იქმნება მართალი იყოს, მაგრამ მეორეს მხრით კი სასარგებლო სანუკარ მხარეს კი მკაცრად მოშორებული. მაშინ ჩვენში უნდა დაბეჭდილიყვნენ ისეთი ორიგინალური ნაწერები, როგორიც „**სურამის ციხე**“ იყო. მოთხრობა “**ხანის ლექი**“ და რამდენიმეც სხვა წვრილი რიგიანი ლექსები, სადაც აღწერილ არიან ჩვენი ცხოვრების ცნობები, ვითარებანი, გარემოებანი, ტანჯვა, ვაება, სიხარული და მრავალიც ამ გვარნი. „სურამის ციხის“ დაბეჭდვა თუმცა ასე უნდა ყოფილიყო ჩვენში მიღებული, თუმც მის პატივისმცემელთ რიცხვი ერთობ დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ეს ასე არ იქმნა და კეთილ მიმართულების და ნაწარმოების ბეჭდვის წინააღმდეგ ძრიელ ბევრნი დაირაზმნენ, ბევრმა იუცხოვა, იუკადრისა, საკვირველიც დაშთენ, რომ ასეთი ნაწარმოები „ცისკარში“ რათ დაიბეჭდა! „ცისკარი“ ხომ ჩვენია, ჩვენს საკუთრებას, ჩვენს გამოცემას შეადგენსო. ამ მოთხრობის დაბეჭდამდის, ხსენებულ კითხვებს ალ. ორბელიანმაც მიუძღვნა წერილი და ეს წერილი „ცისკარში“ დასტამბა. ამ წერილის დაწერა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ იმ დროს, ქართველთ შორის ძრიელ ყოფილა აღორძინებული ბატონ-ყმობის შესახებ საუბარი და ყველა იმას ამბობდა თურმე, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა ძველის ძველადგანვე ბონურ წეს-წყობილებას წარმოადგენდაო. ამის წინააღმდეგნი იყვნენ მრავალნი, სხვათა შორის, ალ. ორბელიანმა სწორედ ამ აზრით დასწერა ეს წერილი და ის აზრები გაატარა, რომ საქართველოში ბატონ-ყმობა მამაშვილობის მსგავს წესებს

წარმოადგენდა და არა მონურსაო. არც ამ წერილმა და ვერც სხვა საუბარმა ვერა ქმნეს-რა, მოთხრობამ „სურამის ციხემ“ თავისი გაიტანა, საკუთარი ნავალი აღბეჭდა, მის მეტრფეთ რიცხვი ასობით ჩნდებოდა. მოწინააღმდეგეთ, პირველ თავის დაბეჭდვის შემდეგ მეორე თავის დაბეჭდვის გაჩერება ეთხოვნათ. ამას ითხოდენ გ. მუხრანსკი, გ. ორბელიანი, და ზოგნიც სხვა ამ გვარნი პირნიო. მაგრამ რედაქტორს უარი უთქვამს..

როგორ იქმნებაო, დეე, მათ თავიანთ აზრი გამოთქვან და შემდეგ ჩვენ მივცეთ პასუხიო. გავამტყუნოთ ისე, რომ მაგ საგანზე ხმა, კრინტი ველარავინ დაძრასო. თუ არა და ასეთი აზრები ხალხში ფეხს იდგამს. ლაპარაკით და ჩვენ კი წინააღმდეგ წერილების დასაწერად ხელში არაფერი მასალები გვექნებაო. ასეთი წერილების ბეჭდვის შემდეგ ჩვენ სრული უფლება გვექმნება საწინააღმდეგო წერილების წერისაო. ასეთის სიტყვებით დავაწყნარე მოწინააღმდეგენი და „სურამის ციხის“ ბეჭდვა დამთავრდა, რამაც ერთობ დიდი ზეგავლენა იქონია იმ დროის უმრავლესობაზე და „ცისკარსაც“ 100 ხელის მომწერი მოემატა, მაგალითად მანამდის მე 200 ხელის მომწერი მყვანდა და უცბათ კი 300 გამიხდაო. ბეჭდვის გათავების შემდეგ აქა-იქ დიდი კამათი და საუბარი ატყდა „სურამის ციხის“ ბეჭდვის წინააღმდეგ. საუბედუროთ მის დამწერიც ერთობ მალე გარდაიცვალა, დაბეჭდვის სულ რამდენიმე თვის შემდეგ, რამაც ერთობ დააღონა ქართველთ საუკეთესო უმრავლესობა. ერთხნობით მიცემული 1000 მ. დახმარება ივ. კერესელიძეს კარგათ მოუხდა, ეს კარგად მოხდენა დროებითი იყო და შემდეგ ისევ გაუჭირდებოდა, რადგანაც მაშინდელი შესავალი გასავალს ვერა დროს ვერ დაჰფარავდა. რედაქცია ლატაკად იყო და მასთანვე სხვათაგან დახმარე-

ბაც არა ჰქონდა-რა. ყოველ წლის ბოლოს, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ასეთის განცხადებით მიჰმართავდა ხოლმე რედაქტორი მკითხველს: „ღვითს შეწევნით ჩვენი ჟურნალი წარმატებაში მიდის“. შემდეგ: „**რადგანაც ამა წლის გამოცემა თავდება ამის უკანასკნელ ნომრით, ამისთვის რედაქცია „ცისკრისა“ ამას მოითხოვს პატივცემულთა ჩვენის ჟურნალის მკითხველთაგან ბოდიშს ვიხდით უკეთუ ჰპოებს რამე აქამომდე გამოცემულს წიგნებში ნალულევანება რამე, ანუ შეცდომა, თუ უწესოება, კარგათ მოგეხსენებათ იმ უფალთა, რომ ყოველი დასაწყისი საქმე უნაკლულეკინებად არა არის შესაძლებელ იყოს აღმსრულებელ, მომავალ წლისთვის ვხმაროობთ ყოველსა ღონისძიებასა, მეცადინეობას, გამოვსცეთ ვრცლად და წარმატებით რომლისათვისაც მოველით დღე-დღეზე ქ. პ. პეტერბურღით ჩინებულ ასოებს. სარწმუნო ვართ, ყოველნი ნამდვილნი ქართველნი მოსცემენ რედაქციას შემწეობის აღსრულებად ამა საზოგადო სასარგებლო საქმისა“.**

რედაქტორის ასეთი მუდარება ყოველთვის საგულისხმოთ ხდებოდა, ამიტომ ივ. კერესელიძეს იოსებ მამაციშვილმა კაი ზურგი მისცა. ჟურნალისთვის სახსარი მოუპოვა. ამან მოახერხა „ცისკართან“ სამეურნეო გაზეთ „გუთნის დედის“ ბეჭდვაც, რაის გამო მთავრობას დახმარებაც სთხოვეს, მთავრობამ შეიწყნარა და „გუთნის დედის“ გამოსაცემად წელიწადში 1200 მ. დაუნიშნა. თვით გაზეთში იოსებ მამაცაშვილი მუშაობდა, სამეურნეო ნაწილი მას ეკუთვნოდა. იგი უსასყადლოდ შრომობდა. მთავრობის დახმარება ორივ გამოცემის ხარჯს ხმარდებოდა, ამიტომ გამოცემას პატარა შეღავათი მიეცა, „ცისკარი“, მცირედ თავისუფლად გამოდიოდა. მის გამოცემის ხარჯის ზრუნვა და დარდი აღარ აწუხებდა, რედაქცია წელში გამაგრდა, გაიშალა. ამ

დროს „ცისკარშიაც“ გაჩდენ სხვა-და-სხვა მწერლები თავიანთის ახალ-ახალ კარგის ნაწერებით. ამ დროის „ცისკარი“ სჯობნის ყველა დროის გამოცემათა „ცის-კრის“ ნომრებს. ამავე დროებში, ქართველობაში გაჩდნენ განათლებულ ქართველ ახალ-გაზრდები, რომელთაც სწავლა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს, ზოგი მათგანი ქართულად „ცისკარში“ სწერდა, ზოგნი შემდეგ დროში „რუსეთუმეთ“ იქმნენ ხმობილნი, ანუ „თერგ-დალეულებად“, რომლის მეთაურობა უნდა მიე-კუთვნოს იმ პირებს, რომელთაც რუსეთში სწავლა მი-იღეს. „თერგ-დალეული“ მათ მიტომ ეწოდათ, რადგა-ნაც მათ თერგის წყალი დაულევიათო. ასე იტყოდნენ ხოლმე მაშინ ზოგიერთი უხუცესი ქართველნი, უმთა-ვრეს „თერგ-დალეულებად“ ითვლებოდენ ილ. ჭავჭა-ვაძე, აკაკი, გ. წერეთელი, ნ. ღოღობერიძე და რამდე-ნიმეც სხვანი, რომელთაც შექმნეს მაშინ ახალი ქარ-თული მწერლობა; მათ მეთაურად ილ. ჭავჭავაძე გამო-ცხადდა. 1863 წ. ხომ „საქართველოს მოამბის“ გამო-ცემაც დაიწყო. მაშინ კი მცირედ გამოირკვა „თერგ-დალეულების“ ვითარება. თორემ მანამდის არავინ-რა იცოდა ამ სახელწოდების მიმართულების და მის წარ-მომადგენთ მოძღვრების. მაშინდელი „**თერგ-დალეულების**“ მდგომარეობა ძრიელ წაგავს დღევანდელ „**მესამე-დასელების**“ მოძღვრების უცნობლობას, კამათს.

„საქართველოს მოამბის“ გამოცემამ და „თერგ-დალეულების“ გამოჩენამ „ცისკარზე“ საკმარისი ზე-გავლენა იქონია, ნამეტურ მის ზოგი-ერთ თანამშრო-მლებზე. თანამშრომლებთ რიცხვი შუაზე გაიყო. „ცის-კრის“, ანუ ივ. კერესელიძეს ერთგულად დაშთენ ალ. ორბელიანი, გ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, ან. ფურცელაძე, დ. ბაქრაძე და ზოგნიც სხვანი. ანტონ

ფურცელაძე, „ცისკარში“ ყველას სჯობდა წერის მხრით. ახალს ჟურნალსა და „ცისკარს“ შორის პოლემიკა ატყდა, „ცისკრის“ მხრით პოლემიზატორად ან. ფურცელაძე გამოვიდა და „მოამბეში“ თვით რედაქტორი და სხვებიც. „ცისკარს“ ერთის მხრით ხელის-მომწერნიც მოემატა პოლემიკის თუ სხვა გარემოების მეოხებით.

ამ ორ ჟურნალთ თანამშრომლებთ კამათის დედა აზრათ გახდა შემდეგი პირობები:

რუსეთიდან საქართველოში მოსული ზოგი-ერთი პირები ითხოვდენ, რომ ქართული ანბანიდან ზოგი ერთი ასოები განიდევნოსო, რადგანაც ეს ასოები მეტია, მათს მაგიერობას მეორეები სწევენ, იგინი სწავლის საქმეს დიდად აძნელებენ მოსწავლეთათვისო, ანბანი რაც მარტივი იქმნება, იგი მით უფრო უკეთესიაო. ასეთის ასოების გამოტოვებით სწერდენ თვით ეს ზემოხსენებული პირებიც. ამათ წერის წესის გამო ჯავრი მოსდიოდათ მრავალთ ძველთ მწერალთაც. ასეთი იყო გრ. ორბელიანი. ივ. კერესელიძე კი შუაზე იდგა, არც იქით ემხრობოდა, არც აქეთ, დ. ბაქრაძე და თვით ალ. ორბელიანიც კი ანბანის ახალ წესს ემორჩილებოდნენ. დ. ბაქრაძემ ახალ აზრის თანხმათ წერილიც კი დასტამბა ერთ დროს „ცისკარში“ მაგრამ არა იქმნა-რა, რაკი პოლემიკა ატყდა და მან კარგა ხანსაც გასტანა. საქმე ისე მოეწყო, რომ დ. ბაქრაძეს ალ. ორბელიანიც დაეთანხმა და მანაც სრული თანხმობა აღიარა ანბანის გამარტივებაზე. ივ. კერესელიძემ კარგათ იცოდა ბჭობის სინამდვილე და ჭეშმარიტება. მაგრამ იგი მაინც გრ. ორბელიანის დასს მიემხრო, რადგინაც იგი მათში იყო აღზრდილი, მათი ნაწერების მბეჭდავი და ბევრს დიდათაც ემორჩილებოდა. უნდა ითქვას, რომ **„ენა მაღალი, მის სიღრმე ბალი“** თითქმის იმ დროიდან გაისმა, თი-

თქმის იმ დროიდან დაიძრა გმობა მამების, ზოგიერთ შვილების წინააღმდეგ, მერე ეს გმობა გახდა საზოგადოდ და მთელს თავობას მიაწერეს, შემდეგ ამაზე ლექსებიც კი დასწერეს. დღეს ეს ლექსები ჩვენში გავრცელებულიც არის აჭა-იქ, მისი შინაარსი ბევრმა იცის, ამიტომ ამაზე არას ვიტყვით, ყველა ამ ნაწერებში ივ. კერესელიძე არაფერს მონაწილეობას იღებდა. იმ დროებში, გრ. ორბელიანი ხანდისხან მთავარმართებლის თანაშემწედაც ირიცხებოდა, ხან მთავარმართებლათაც იყო. ივ. კერესელიძე ეეედრებოდა, რომ თქვენს უწყებაში რამე საქმე მიშოვნეთ, თორემ მე ჩემი ჟურნალის გამოცემა დამღუპავსო. გრ. ორბელიანმა ალაგი დაჰპირდა და ეს მალეც მოუპოვა. ამაზე, აი რა მიამბო თვით ივანე კერესელიძემ:

გრ. ორბელიანმა როგორც იყო ალაგი მომცა მთავარმართებლის სამმართველოში. მე ალაგი მივიღე. გრ. ორბელიანს ჰყვანდა ერთი მოხელე გამგეობის მწარმოებელი (პრავიტელ კანცელარია) იაკინთე მესხიევი, ქართველებში თავის დროს ცნობილი, როგორც მომხრე პ. იოსელიანის და მის ძველი განკერძოებულის ქართულის ენის კილოსი. ამასთან იგი ცნობილი იყო როგორც ბრძენი კაცი, ბრძენი გვარის შთამომავალი, მწიგნობარი, მწერალიც, თავის დროის კვალად სახელოვანიც და გავლენიანიც. გრ. ორბელიანზე მას დიდი გავლენა ჰქონდა. „ცისკრის“ ერთს ნომერში მე დავბეჭდე სცენა „სიქსტო მეხუთე“, სხვათა შორის, იქ იაკინთე მესხიევიც გამოვიყვანე, ეს მან იწყინა და მიტომ მე ძრიელაც გადამეკიდა. ნაწერზე ჰასუხს არ იძლეოდა და მუქარებას კი გვითვლიდა, ყოველთვის უვიცობას გვწამებდა, გვაუწყებდა, რომ თქვენ, მინამ პ. იოსელიანის ენით არ დაიწყებთ წერას, მინამდის თქვენ

არაფრათ ჩაითვლებითო, უვიცები იქმნებითო. მე რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი ვიყავიო, მე მის წესს და ენის ფორმას არ ვემორჩილებოდიო, ვეტყოდი ხოლმე: თუ გინდათ ბატონებო, თქვენა სწერეთ, თქვენ ნაწერებს დავბეჭდავთ ჩვენა, რაც შეეხება იმას, რომ ჩვენა ვსწეროთ, ეს მეტის მეტი ახირება არის. იგინი არ შვრებოდნენ და გვეუბნებოდნენ რომ არაო, თვით თქვენ უნდა სწეროთო. ეს ვერ ხერხდებოდა. ამიტომ მესხიევმა ჩემი ჯიბრის გადახდა განიძრახა და ვიდრე მე სამმართველოში თანამდებობას მივიღებდი, მინამ მე სამი დღით დილომში წავედი, მინამ იქიდან ჩამოველ, მინამ ვილასაც ჩემ მაგიერ თხოვნა დაეწერა და მთავარმართებლის თანაშემწის გრ. ორბელიანისთვის მიერთმია, რომ ვითომც მე სამსახურს არ ვდომულობდი, გრ. ორბელიანს წაეკითსა ეს და მაშინვე ხელი მოუწერია და სამსახურიდან გამოვერიცხეთ. მე ჩამოველ სოფლიდან და სამმართველოში წაველ თანამდებობის დასაწყობად, იქ კი უცებ მომახარეს, რომ შენ გამგეობიდან გარიცხული ხარო. მე სახტათ დავრჩი, ყელი გამომეჭრა, ამბავი ვიკითხე და ყოველივე შევიტყე.

ამის შემდეგ მე დაღონებული წავედი სახლში და სახელმწიფო სამსახურს სამუდამოთ გამოვეთხოვეო. ეს ამბავი დიმატრი ყიფიანს ძალიან ეწყინაო. დ. ყიფიანი „ცისკრის“ დაარსებას და ჩემს მოქმედებას ერთნაირის მხრით უყურებდა, რადგანაც 1856 წ. მისგან წარმოდგენილი პროგრამა „ცისკრის“ გამოსაცემად არ იქმნა მიღებულიო. თუმცა ასე იყო, მაგრამ ვნებით კი მე არ ვნებდა და ხელს მიწყობდა იმ მასალებით, რაც კი „ცისკრისათვის“ გამოდგებოდაო.

ეს მაგალითი იქიდანაც სჩანს, რომ დ. ყიფიანმა 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“ ცნობაც გამოთქვაო.

აქ მოგახსენებთ ეხლა მე ჩემით ამ ცნობის შესახებ. დ. ყიფიანი 1856 წ. ითხოვდა „ცისკრის“ პროგრამით საამეცნიერო წერილების თარგმნას და ბეჭდვას, მის ვრცელებას ერში, თორემ ძველებურის ზღაპრებით ბევრი არაფერი გამოვაო, ამ აზრით მას ფრანგულის ენიდან ქართულს ენაზე მიტჩელის „ვარსკვლავთ მრიცხველობაც“ ეთარგმნა, მაგრამ მის დაბეჭდვა „ცისკარში“ ვერ მოხერხდა. დ. ყიფიანი ამის გულისთვის „ცისკარს“ მაინც არ შემოსწყრა, განზე არ გაუდგა, იგი მას სხვა მასალებს აწვდიდა. შემდეგ მან „საქართველოს მოამბეს“ მიმართა, იქ დაიწყო წერა ასეთის წერილების, მაგრამ ამ ჟურნალის არსებობაც დიდ ხანს ვერ გასტანა, ამიტომ დ. ყიფიანის აზრიც დარჩა შეუსრულებელი, თუმც დღეს ჩვენში ყველა ამ აზრს ადგა. მომავალი ამას ელტვის. ივ. კერესელიძემ მითხრა, რომ მე რა მქონდა ამის წინააღმდეგობაო, მაგრამ რა უნდა მექნა, სხვებს ავყეო.

იმ დროებში, ივ. კერესელიძე სახლობასაც მოეკიდა, ვისგანაც მიეცნენ რამდენიმე შვილი. ცოლიერებას მოჰყვა ტფილისში და ბოგვში რამდენიმე მამული შეიძინა. მაშინ მამულები იაფი იყო, ნამეტურ ტფილისში, კუკიაში, 100 მ. 300 საჟენს მიწას შეიძენდა კაცი. დღევანდელ მდიდრების უმეტესს ნაწილს მაშინ აქვთ შეძენილი მუქთათ მამულები. თუმცა ივ. კერესელიძემ შეიძინა რამდენიმე მამული, მაგრამ ეს მამულები მას დიდ ხანს ვერ შერჩა, ზოგი ჟურნალის ხარჯზე წაუვიდა, ზოგი თავის კერძო საქმეების გამო, რისთვისაც მას ჩვენ ვერ გავამართლებთ, რადგანაც ისე იაფათ და ოხრათ მას არ უნდა დაეკარგა იმოდელი მამულები, მას რომ ის მამულები შერჩენოდა, უკანასკნელს არა გაუჭირდებოდა-რა. მისგან ერთი გაყიდული მამული 1000 მანათში

1895 წ. 20,000 მ. გაიყიდა, ეს მამული კი მას „გუთნის დედის“ გამოცემის გამო დაეკარგა, აი ამაზე რა მიამბო ივ. კერესელიძემ:

სხვა-და-სხვა საქმეების გამო ოსებ მამაციშვილმა „გუთნის დედაში“ წერას თავი დაანება, ამიტომ მე, მეურნეობის მცოდნე სერებრიაკოვს (ოქრომჭედლიშვილი) მივმართე და „გუთნის დედაში“ შრომა ვთხოვეო. მან ამისათვის წელიწადში ხუთასი მანეთი მთხოვაო. მე ეს ფული არ მქონდაო. მან მითხრა: შენი მამული, რომელიც ელისაბედის ქუჩაზე სძევს, მე მომყიდე და იმაში გამოგიბრიო. ჩვენ მოვრიგდით, 400 საჟენი მიწა 1000 მანეთათ, მე დაუმტკიცე მას, ამაში ხუთასი მანეთი „გუთნის დედის“ გამომიბარა და 500 მან. უნდა მოეცა. მაგრამ მეოთხე თვეს იგი გარდაიცვალა, ვერც 500 მან. მივიღე და თანამშრომლობისაც ხომ მას იმდენი არ ერგებოდა. მამული მის ნათესავებს დარჩათ საკუთრებათ და მე კი ფული დამეკარგა. მერე ბევრი ვსთხოვე მის ძმებს, მაგრამ არ იქმნა, არა მომცეს-რა, ერთის ძმის მეორეს დაშთა, მეორეს, მესამესი და მერე დასაო. ესევე სხვა მამულებიც წასვლია ხელიდან. ეს მიყვეს მე იმ პირებმა, ვის ერთ წევრსაც მოსკოვში ლაზარევის ინსტიტუტში სწავლის მისაღებად ტფილისში ფული მოუგროვე, დახმარება და ფულის გზავნა არც შემდეგ მოვაკლე, ტფილისიდანაც ვუგზავნიდიო. ეს მართალია, ამაზე ჩვენ ვიტყვით შემდეგს: ივ. კერესელიძეს იმ დროებში არა ერთის მოწაფისათვის მოუგროვებია, მოწაფეთა დახმარების გარდა, ივ. კერესელიძეს სხვა იმ დროის საზოგადო საქმეებშიაც ბევრი სამსახური მიუძღვის, ტფილისის ქართველთა შორის ყველა საჭირო საქმისთვის სულ ვანო, ვანო კერესელიძეს სახელი განისმოდა. ყველაფრის აღსრულება მას ედებოდა ჯისერზე. მოგე-

ხსენებათ 1856—1866 წელს რა გვარი ვრდომილება არ იყო ქართველთ შორის მოღვაწეობის მხრით, მთელს ქალაქში კაცი ერთ ქართველ მოღვაწეს ვერ ნახავდაო, ვინც იყო ყველა სამხედრო სამოქალაქო მოხელეო, მათ ჩვენ საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღება ერიდებოდათ. ყველას ვერ მოვსთვლიო. მე გიმნაზიის ნადზირატლობის დროსაც პატივს ვსცემდი, ვეხმარებოდი, როგორც კარგს მოწაფეს. ივ. კერესელიძეს ადრიდანვე წაუძღვა ერთი დიდი შეცდომა, ეს შეცდომა იყო მისგან სტამბის გახსნა, მაგრამ რიგზე კი ვერ მოწყობა. მისგან სუ ზარალი ჰქონდა, იმოდელი მოგება არ ჰქონდა. სტამბაში უმეტეს ნაწილათ თვით მუშაობდა და ისეთი მოჯამაგირენი, რომელნიც მას უფასოდ ემსახურებოდენ. მაგრამ შესავალი გასავალს ვერ ჰფარავდა, ყოველთვის ზარალი იყო, სხვის სტამბაში, რომ ებეჭდათ იქმნება იმდენი ზარალი არ ჰქონდათ. გარდა ამის წიგნებიც ვერ იბეჭდებოდა კარგათ, ამის მაგალითს გვიმტკიცებს 1862 წელს „კალმასობის“ ცალკე დაბეჭდვა, რომლის კითხვა დღეს არ შეიძლება. რაც შეეხება მეორე მის წიგნის დაბეჭდვას 1868 წელს და ეს ხომ სულ მკრთალია და დაუნახავი, ამის დაბეჭდვა მე ერთობ გამიჭირდა. მაინც საწყალს ბოლოს ამ სტამბის საქმე უბედოთ წაუვადა ხელიდამ. სულ უბრალო ფასად გაყიდა და მის გაყიდვით „ცისკარიც“ მოისპო 1874 წლის შემდეგ, ეს სტამბა შეძენილ იქმნა ექვთიმე ხელაძისაგან, რომელიც შემდეგ გადაკეთდა და იგი გაფართოებით დღესაც არსებობს.

ივ. კერესელიძემ მიამბო, რომ საქართველოში ბატონ-ყმობის გადავარდნა 1860 წლებიდან დაიწყოვო, ყველა განცვიფრებით ისმენდა ამ ცნობებს. დიდათ უხარიოდათ გლეხთა, ნამეტურ მებატონეთაგან დაჩაგრულ-

თაო, მაგრამ იყვნენ ისეთი გლეხნიც, რომელთაც კაი მებატონე ჰყვანდათ და ესენი დიდათ დარდობდენ ასეთ მებატონის დათმობასაო. სიხარული ბევრს მებატონეს, განათლებულს და მცოდნესაც ებადებოდაო. რედაქციაში ხშირად მოდიოდნენ გლეხნი, ტფილისის ხელოსნები და ვაჭრები და მე მკითხავდენ, თუ ბატონო, ბატონყმობა მართლა გადავარდებაო? მეც ყველას სწორე ცნობებს ვეუბნებოდი, ყველა მოხარული იყო, ზოგ ჩემ მცნობთ მებატონეებს კი ჯავრი მოსდიოდათ. მეუბნებოდნენ, რომ ნუ ეუბნები მათაო, თორემ გათამამდებიანო. გლეხთაგან კითხვები წერილობით მე ქუთაისიდან უფრო ხშირად მომდიოდა და მკითხავდენო. მე პასუხებს წერილებითვე ვაძლევდი. საუბედუროთ მაშინდელ მათ დაკითხვის წერილები დამეკარგენ, თორემ დღეს იგინი დიდ მასალათ გამოდგებოდენ ჩვენის ისტორიისათვისო, მაგრამ მაშინ ვის ჰქონდა ამის აზრი, ვინ იტყოდა მაშინ, რომ გლეხთა შვილები დღეს ასე განათლდებოდნენ და მათგან ასეთ კითხვების მეძიებელი მწერლებიც გამოვიდრონენო. თვით ივ. კერესელიძესაც მეტის-მეტი აღმატებული, შესაფერი შეხედულება ჰქონდა გლეხთა უფლებაზე შედგენილი, მაშინ თუ ერთი და ორი ითვლებოდა ასეთის შეხედულების და მიმართულების ერთ ამათგანი იყო იგი. ამის ნატვრას საზღვარი არ ჰქონდა: ნეტა მალე ეშველოს გლეხთა საქმესაო. თვით ივ. კერესელიძეც მნახველი იყო თავის თვალით მრავალ ისეთ საქმეთა, რომელიც გლეხთა და მებატონეს შორის მომხდარიყო. ბევრი რამ იცოდა ამაზე და ერთი ასეთი ცნობა ჩვენ ზემოთაც მოვიყვანეთ. ივ. კერესელიძეს საქართველოს !ამსახური წმიდის გულით სურდა, ხოლო მას ხანდისხან სხვა-და-სხვა პირების გავლენის ქვეშ უხდებოდა შესვლა და ამიტომ მას ზოგნი

ორ ნაირ კაცათ სთვლიდნენ. მაგალითებრ: 1863 წ. „საქართველოს მოამბე“ სწორეთ ამ აზრით გამოიცა თურმე, მაგრამ იგი წლის გასულს დაიხურა და დარჩა მხოლოდ „ცისკარი“. ეს რომ ასე არ მომხდარიყოს მაშინ ის იქმნებოდა, რომ „ცისკარს“ სული ამოერთმევოდა. ივ. კერესელიძეს ნაკლულევანების შესახებ ასახელებდენ იმ გარემოებასაც, რომ იგი ხანდისხან ზოგიერთ საპატიო მწერლებს უგვანათ იხსენიებსო, მაგალითებრ „ცისკრის“ ერთ ნომერში ბელინსკი ასე დაასურათაო: **„ბელინსკის მიბაძვა და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება. თუმცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკოსი იყო რუსეთში, მაგრამ როგორც ფაფრიანი კაცი ყოველთვის ილანძღებოდა და ამ მიზეზით იმის მიბაძვა არ არის მოსაწონი და თვით რუსეთში ვილ ჰუავს ეხლა ბელინსკის მიმბაძავი“.**

ჭეშმარიტად, ეს კი ვერაფერი შენიშვნა არის „ცისკრის“ მხრით ისეთ პირზე, როგორიც ბელინსკი იყო, ბელინსკის მიმბაძავნი რუსეთში სწორედ მაშინ ჩნდებოდნენ, როცა ამ შენიშვნას „ცისკარში“ სწერდენ. ეს შენიშვნა ჩვენ აქ ცნობათ მოვიყვანეთ, თორემ, უნდა ითქვას, რომ ბელინსკის წინააღმდეგი „ცისკარი“ როგორ იქმნებოდა, როცა აქ მუშავობდა პატივცემული ანტონ ფურცელაძე. ეს პირი იქამდის ცნობილია ჩვენში, რომ მაზე ლაპარაკი მეტია; მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ „ცისკარი“ სისტემატიურად წინააღმდეგი ყოფილიყოს ბელინსკის და მის მიმართულების, მაშინ იქ ან. ფურცელაძე ფეხსაც არ შესდგამდა. ამის ნაწერების და მიმართულების შესახებ ალ. ორბელიანსაც უთქვამს, რომ „ან. ფურცელაძის ნაწერები ისე **„მოამბის“ წინააღმდეგი არ არის როგორც ჩვენიო, იგი ჩვენ გვეხება, ჩვენ მიმართულებას ჰკიცხავსო“.**

„მოამბის“ დახურვის შემდეგ, რალაც ბედზე ვერც „ცისკრის“ საქმე წარემართა წინ, იგიც უფერულ გზას დაადგა. ამ გარემოებამ ზოგიერთ ქართველებში დაბადა დრტვინვა და აზრი ქართულს ენაზე ოდესმე, რიგიანი ჟურნალი ან გაზეთის გამოცემის. ეს აზრი და ნატვრა მათ შეუსრულდათ 1865 წ. როცა საქართველოში რუსეთიდან ჩამოსული ქართველნი მრავლად გაჩდენ. 1865 წ. მთავრობას თხოვნა მისცეს და 1866 წ. კვირის გაზეთი „დროებაც“ გამოსცეს. ამ გარემოებამ „ცისკარს“ საკმარისი ვნება მოუტანა, მეორე წელს „ცისკარი“ შეთხელდა, იგი ერთად-ერთ ივ. კერესელიძეს ამარა დარჩა. ამის შემდეგ ივ. კერესელიძეს აღარც „გუთნის დედა“ შერჩა დიდ ხანს, იგიც მალე დაიხურა, რადგანაც მის მაგიერ გ. წერეთელმა „სასოფლო გაზეთი“ გამოსცა. მოკლეთ უნდა ვსთქვათ, რომ „ცისკარს“ ხელის-მომწერლები ისე შემოაკლდა, რომ მას მარტოდ ჟურნალის ამოწყობის ძალაც აღარ ჰქონდა, სტამბაში თვით ივ. კერესელიძეც მუშაობდა. თვით აწყობდა, ბეჭდავდა და ხანდისხან არიგებდა კიდეც. თუმც ასე მეცადინეობდა, მაგრამ საქმე მაინც ვერ მისდიოდა ყინ, რადგანაც მრავალ მის პატივისმცემელ ძველ თანამშრომელ და მკითხველებიც კი „დროებისკენ“ გადავიდენ, „ცისკარი“ დაობლდა, ივ. კერესელიძესაც რამდენიმე ხნის შრომამ თითქმის მიმქრალება უწყო, მაგრამ იგი არ დამორჩილდა ბედს, ყოველნაირი ღონის-ძიება შეიკრიბა, თუ სადმე რამე ღონის-ძიება ჰქონდა ყველა იგი „ცისკრისთვის“ გამონახა და სურვილით თუ ჯანით მის არსებობა დიდის ხნობით განიძრახა. სურვილი თუმც ასეთი ჰქონდა, მაგრამ ბოლოს მაინც არ ასცდა მოსპობა, თვისდა ძალაუნებურად მოისპო ისეთ დროს, როდესაც ქართველთ ხუთი კიდევ სხვა დროგამოშვებით გამოცემა ჰქონდათ,

მაგალითებრ: „დროება“, „მნათობი“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“, და „გუთნის დედა“ უნდა ვსთქვათ. რომ ყველა ეს გამოცემანი „ცისკარს“ სჯობდენ ყველაფრით, ამიტომ „ცისკარს“ არსებობა აღარ შეეძლო. მაგრამ უბედურება იმაში იყო. რომ „ცისკრის“ მოსპობას მიჰყვენ „კრებულის“ და „მნათობის“ მოსპობაც. ეს კი ვერ იყო კაი საქმე. ივ. კერესელიძეს რომ სცოდნოდა ამ ჟურნალების ასეთი მომავალი, მაშინ იგი ყოველნაირ ღონისძიებას იხმარდა და „ცისკარს“ არას გზით არ დახურავდა, მაგრამ ეს მან არ იცოდა და მიტომ მოხდა. ერთ დროს სამი ჟურნალის მქონეთ აღარც ერთი ჟურნალი დაგვრჩა. ასეა ჩვენში, ივ. კერესელიძეს ვერ მოექცნენ კარგად, თორემ „ცისკარს“ იგი არ დახურავდა, აი ამის მაგალითიც:

სწორეთ იმ წელიწადს, როცა „ცისკარი“ დაიხურა, პირველ ნომერში ივ. კერესელიძემ გამოაცხადა, რომ დღეის შემდეგ „ცისკარში“ მუდმივ იშრომებს პეტრე უმიკაშვილი. ეს განცხადება პეტრემ იწყინა და „დროებაში“ გამოაცხადა: მე „ცისკარს“ არას დავპირებივარ საშრომათ, ეს ამბავი ივანე კერესელიძის ფანტაზია არისო! ამ ამბის შემდეგ, მეოთხე წიგნით „ცისკარიც“ მოისპო. არ ვიცით, პ. უმიკაშვილმა ეს განცხადება რათ იწყინა, რა იყო მასში უკადრი, მაგრამ მაშინ ასე იყო, ივ. კერესელიძეს ასე ულირსად უმზერდენ, რომ სათაკილოთაც მიაჩნდათ მის ჟურნალში წერა. საცა ივ. კერესელიძეს საქმე ასე იყო მომართული, იქ აბა იგი რაღას გააწყობდა, რა უნდა ექმნა და ჟურნალი როგორ უნდა შეენახა. ამავე პეტრემ კი ივ. კერესელიძის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა და იგი შესამჩნევ მოლვაწეთ აღიარა!

„დროებას“ სხვა გარემოებანიც მოჰყვა, აქ დრონიც იცვალნენ, ივ. კერესელიძე წელში იხრებოდა, ამ დროს, მან გრ. ორბელიანის მეოხებით მოახერხა და იგი რუსის მთავრობისაგან აჭარაში, ხიმშიაშვილებთან იქმნა გაგზავნილი, რაშიაც მას მთავრობისაგან 1871 წ. დახმარებაც დაენიშნა. ივ. კერესელიძე იყო ზედა აჭარაში, სხალტას, ნახა ხიმშიაშვილები, ისაუბრა მათთან და მერე ტფილისში დაბრუნდა სხვა-და-სხვა ცნობებით. მთავრობას საიმედო ცნობები მოუტანა. აჭარაში იგი თარისა და ჭიანურის დაკვრის საშუალებით შევიდა, მის ოსტატობათ შედგა იქ ფეხი, რადგანაც მან ძრიელ კარგათ იცოდა თარისა და ჭიანურის დაკვრა. თარი მას ბატონიშვილის თეკლესაგან ჰქონდა ნაჩუქებელი. მთავრობისაგან მიღებული დახმარება მას დიდხანს არ გაჰყვა, მალე წაუვიდა ხელიდან, მას სხვა ღონის-ძიება აღარა ექმნა-რა, ამავ დროს პირველი მეუღლეც მოუკვდა. მცირე ხნის შემდეგ „ცისკარში“ მონაწილეობა მიიღო გრ. ორბელიანმა, აქ დაიბეჭდა ამის ლექსი პასუხი შვილებს და გიორგი წერეთლის „მგზავრის წერილების“ განხილვა; ეს ცალკეც დაიბეჭდა წიგნათ. ვერც ამან უშვალა „ცისკარს“. რამდენიმე ხნის შემდეგ როგორც ვსთქვით ზემოთ, „ცისკარი“ დაიხურა და ივ. კერესელიძე მწერლობას გამოეთხოვა, ამ დროს მან მეორედ იქორწინა ამილახვრის ქალს ტასიაზე, რომელმაც შინაური საქმეები გვარიანათ მოუწყო, ობლები დაუზარდა და დაუბინავა, სრული ამხანაგობა გაუწია. 1877 წ. ახლოვდებოდმ რუს ოსმალთა ომი, ამ დროს ივ. კერესელიძემ განიძრახა ფოდრატების აღება, მან ამისთვის ბანკში მამული დააგირავა, ფულით საქმეს მოეჭიდა, მაგრამ საქმეში 4000 მ. მეტი იზარალა. მამული ვალში ჩაუვარდა და ფული ხელიდან წაუვიდა. ამ მო-

სავლის შემდეგ მას საქმეები უფრო ცუდათ წაუვიდა, საქმეები აერ-დაერია. მამულის ვალი თავზე დააწვა და დიდათ შეაწუხა, ამისთვის მას აქა-იქ სიარული და წოწიალი უხდებოდა, ფულების თხოვნა და ბანკის ვალში შეტანა. ამ დროს, მას ძრიელ ბევრი ქართველი ეხმარებოდა, შეძლების დაგვარად დახმარებას აძლევდენ ბანკში ფულის შესატანათ. ამ გარემოებამ ივ. კერესელიძე ისეთ დღეში ჩააგდო, რომ ხშირად მას პურიც არ ჰქონია ხოლმე საჭმელად...

რაკი ერთი ქვეით დაიწია მან, ყურადღებას აღარავინ აქცევდა, თვით ტფილისის რედაქციებიც კი ასე უმზერდენ, არც ერთის რედაქციიდან მას გაზეთსაც კი არ უგზავნიდნენ, თვით ქართულსაც, თორემ რუსულზე რა ითქმის! აი ერთი მისი წერილი ჩემთან მომართული, რაც კარგათ ხატავს ზემო-ხსენებულ საგანს:

„ძმაო ზაქარია! სოფელში რომ მივდიოდი, შენ ბათუმში იყავი და ძრიელ მეწყინა, შენი უნახავი რომ წავედი, შენი ავად-მყოფობა მითხრეს და ძრიელ შევწუხდი. ნეტავი ეხლა მაინც როგორა ხარ? მომწერე და ჩემი მებაღის ხელით გამოგიგზავნე და შენი მშვიდობიანობის წერილი. ეგება „ობოზრენიეც“ რაც გამოსულა 20 ივლისიდან როგორმე მომაწოდო. ლამის სოფელში გავგიჟდე უგაზეთოდ, ძრიელ მაღლობელი დაგირჩები და თუ არ მოვკვდი, გადაგიხდი. სხვა რა მოგწერო, იცოცხლე, იბედნიერე და ნუ დაივიწყებ შენის ბედნიერების კეთილ-დღეობის მოსურნე და ყველგან დავიწყებულს ივანე კერესელიძეს. ივანე კერესელიძე.

1890 წ. 1 აგვისტოს, ს. ბოგვი“.

მომავალმა და სხვა წარმატებამ ივ. კერესელიძე უკანასკნელ სხვაფერ გარდაქმნეს, მაში განაცხოველეს

ძველი ალები, მას გაახსენდა ჟურნალ-გაზეთობა, აქა-იქ საუბარი დაიწყო და უკანასკნელ განიძრახა ქართულს ენაზე ძველი „ცისკარის“ გაზეთად განახლება და ეს მალეც მოახერხა 1886 წლიდან „ცისკარმა“ კვირაში სამჯერ იწყო გაზეთად გამოსვლა, მაგრამ მის არსებობამ დიდხანს ვერ გასტანა, შემდეგ დღიური კვირის გაზეთად გადააკეთა, მერე მთავრობას თხოვნა მისცა, რომ „ცისკარში“ სამეურნეო ნაწილსაც მოვათავსებ და ამიტომ დახმარება მომეცითო. ამავ წელს ქართულს ენაზე სამეურნეო გაზეთ „მეურნემ“ იწყო გამოსვლა და ამიტომ ივ. კერესელიძეს უარი უთხრეს, უარის შემდეგ მან ზოგი-ერთი სასტამბო იარაღი შეიძინა და ფიქრობდა სტამბის გახსნას, რის საშუალებითაც მოვახერხებ გაზეთის გამოცემის ხარჯის დაფარვასაო, მაგრამ ვერც ამით გახდა რამეს და მალე გაზეთიც დაეხურა და სტამბის იარიღიც ოხრათ გაეყიდა. ამ გარემოებამ ივ. კერესელიძე ძრიელ დააღონა და დაადარდიანა, მის შემდეგი იგი მწერლობას სამუდამოთ გამოეთხოვა. მას გულიდან გადაუვარდა ყოველივე, ერთად-ერთ თავის ყველა ნაწერების გამოცემას-ღა ფიქრობდა, რაც შეეხება მწერლობას, მას, იგი კი არც უკანასკნელ დროს დაუტოვებია. მან სთარგმნა რუსულიდან „შაჰ-ნადირის გალაშქრება ინდოეთზე“, სადაც ირაკლის მხნეობაც არის აწერილი, სწერდა ლექსებს და რამდენიმე ამის ლექსი „იმედსა“ და სხვა გამოცემებშიაც დაისტამბენ. საზოგადოთ, ივ. კერესელიძეს ძრიელ უყვარდა მწერლობა: იგი სწერდა ლექსებს, კომედიებს, დრამებს, საპოლემიკო წერილებს, ბიბლიოგრაფიას, სცენებს და სხვანი, მისი ნაწერების რომ გამოიცეს „ცისკრიდან“ რამდენიმე ტომი გამოვა. მის უკანასკნელ ლექსებში ბევრი ღირსეული ლექსები მოიპოვება, ნამუტურ მაშინ დაწერილი, როცა იგი გან-

წირულებაში ჩავარდა და სიღატაკე სდრეკავდა სასტიკათ. თავის ნაწერების შესახებ მითხრა — ივ. კერესელიძემ: მე ზოგნი მაყვედრიდნენ, რომ ივ. კერესელიძეს მიმართულება არა აქვსო, რა დროს მიმართულება იყოვო, მე ვმეცადინეობდი, რომ ხალხი წერას და კითხვას შემეჩვიაო. სად იყო ამის დროვო. 1860 წლებში, ტფილისში, დიუამას შვილი მოვიდაო, კახეთში მე გავყევო, მან მკითხა: ხელის-მომწერი რამდენი გყავსო, მე ვუთხარი, რომ 600-მეთქი. მას გაუკვირდა, მის ფულით როგორ ბეჭდავო? გაუკვირდა საშინლად! მე კი ამ დროს 60 ხელის-მომწერი მყვანდა და აბა სირცხვილით როგორ ვეტყოდი, რომ 60 ხელის-მომწერი მყავსო. მოდი იქ მიმართულება მეძიაო. ჩემი მიმართულება ბეჭდვა იყო, რომ ქართველთ შორის ბეჭდვით სიტყვა განმევრცოვო. მაგალითებრ ეს სწერს 1857 წ.: **„მადლობა ღმერთსა, რომ ქართველთ შორის ურმანიც კი ეცდიან და სთარგმნიან შექსპირის დრამებს სამშობლო ენაზე“**. და სხვანიც მრავალი ამ გვარნი შესახებ ახალგაზრდა ქართველთა მთარგმნელების წასახალისებლად.

ბევრნაირ ღირსებასთან ივ. კერესელიძე იყო ნამდვილი ქართველი მეპურ-მარილე, სტუმართ-მოყვარე, უკანასკნელ დროშიაც კი არ დაიშურებდა სტუმართ-მოყვარეობისათვის, ხოლო მცირედ კი იცოდა ხარჯვა, თორემ ბევრი სად ჰქონდა. სადილზე თვით თავის თარს დაუკრავდა ხოლმე, მისი სიკვდილის ორი კვირის წინეთ მე ვიყავ მასთან ავლაბარში, სადილი გიახელით და მან თარი დაუკრა და თავის ლექსი „შემიყვარდა ხმა ტკბილი“ დაამღერა ზედ. მერე იმღერა შემდეგი ლექსი:

„სანამ მქონდა ფულები, ვჭამე მოხრაკულები,
როცა გამომელია, ჩამოვყარე ყურები!“

ამ ლექსის მღერა და თქმა მან ხშირად იცოდა. ეს იყო მისი უკანასკნელი დროს გატარება. სადილის დროს, რომ მათხოვარი სწვევოდა, იმას ცარიელს არ გაისტუმრებდა, სუფრიდან უნაწილებდა კერძს. ღარიბთა დახმარება მას უსაჭიროეს ვალათ მიაჩნდა, ეს თუ არ გავრცელდა ხალხში უამისოდ სასაწყალთა გარემოება დიდს გასაჭირში მოთავსდებაო. ამას მისი ლექსებიც მოწმობდა, სადაც ღარიბთა წუთები ბევრს ალაგას მწუხარებით არის აღწერილი.

ივ. კერესელიძე, როგორც ქართულ ძველ მწერლობას სცემდა პატივს, ისევე ახალს მწერლობას, ახალ მწერლებსაც, მას ძრიელ უხაროდა მათი აღორძინება, ეს მას მით უფრო მოსწონდა, რადგანაც ერთ დროს მან ტფილისის და ქუთაისის ბანკებს დახმარება მოთხოვა, ამის თანამგრძნობათ მთელი ახალგაზრდობა აღმოჩნდა, ზოგნი კი წინააღმდეგნი იყვნენ, ამისთვის იგი ერთხელ საზოგადოების წინაშეც გამოვიდა სცენაზე და დახმარება ითხოვა, მაგრამ თხოვნა შეუწყნარებელ იქმნა რის გამო იმ დროის გაზეთებში დიდი აყალ-მაყალი და ბაასიც გაიმართა. ქუთაისის ბანკმა კი 300 მან. დაუნიშნა. ძველ მწერლებში იგი პატივს სცემდა უფრო აკაკის, ნ. ნიკოლაძეს, ან. ფურცელაძეს და ორ-სამ სხვებს.

ივ. კერესელიძემ „ცისკარს“ გარდა 1855 წლებიდან სხვა-და-სხვა წიგნებსაც ბეჭდავდა ქართულს ენაზე, მაგალითებრ, მან დასტამბა პოემა „ნაოხარი სოფელი“, „მწყემსის სიყვარული“, ქართული ანბანი, რამდენ გზის მე „მოკეთე სიტყვა“, 1863 წ. „კალმასობის“ პირველი წიგნი. „თამარ ბატონიშვილი“, „მეჯღანუაშვილი“ „ქალების აღსარება“ მარიონდელორმისა და ზოგიც სხვა-და-

სხვა წიგნები, რომლის უმეტესი ნაწილი ხალხში უფასოდ ვრცელდებოდნენ. ადრიდანვე. ივ. კერესელიძეს ძრიელ მოსწონდა ჩვენი მდაბიო მწერლები, მათის ნახვისაგან გაკვირვებული იყო. ი. დავითაშვილს დიდათ სცემდა პატივს, მისი ლექსებიც ბეჭდა გაზეთ „ცისკარში“, სიკვდილის დროს ლექსიც მიუძღვნა. დიდი მოხარული იყო ჩვენს მოძრაობაზე და ყოველთვის ამბობდა მადლობა ღმერთსა, რომ ქართველებმა თვალები გაახილესო. იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. უნდა ვსთქვათ, რომ ივ. კერესელიძე თუმც არ იყო დიდი მწერალი და დიდი გენიოსი, მაგრამ რაც იყო, მან მით თავის კვალად სარგებლობაც მოუტანა და ქართველობას თითქმის მწერლობა აღუდგინა, დღევანდელ ჩვენ დამამშვენებელ მწერლებს მან ააღებინა ხელში კალამი, მან შექმნა თითქმის ქართული მწერლობა და მწერლებიც შეკრიბა და წერას შეაჩვია. ეს აზრი მის დასაფლავების დროს ეპისკოპოსის ალექსანდრესაგანაც იქმნა წარმოთქმული.

სოფლის გლეხობაშიაც იგი კაი მაგალითი იყო, კაი დამრიგებელი. ს. ბოგვში დღესაც ბევრს ახსოვს მისი სამაგალითო საქმენი და სიტყვები. გლეხ-კაცობაში იგი ადრიდანვე ყოფილა ასეთის თვისებით ცნობილი.

ივ. კერესელიძემ ბევრი სხვა-და-სხვა ძველი და ახალი ამბები იცოდა, მაგრამ მათი მოგონების ტრფიალი კი აღარ ჰქონდა, მეტყოდა ხოლმე:

ბევრი რამ მინახავს, მაგრამ მათი მოგონების გული და ხალისი აღარივის აქვსო, ნამეტურ იცოდა უკანასკნელ დროის ბატონიშვილების ამბები და ქართველთა იმ მწერლების, რომლებიც 1830—40—50 წლებს შეესწრნენ. ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი და სხვებისაც ბევრი

ცნობები იცოდა, ამათ გარდა ყველა ის ამბები რაც კი ქართული მწერლობის ასპარეზზე მომხდარიყო 1800—1850 წლებამდე, ყველა ის ამბები რომ დაწერილიყო, ვეება წიგნი გამოვიდოდა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ერთ ზაფხულს ივ. კერესელიძესთან ბოგვში ვიყავი, იქ ვეცადე ამაზე, მაგრამ არა იქმნა-რა, იგი სულ სოფლის საქმეებზე მესაუბრებოდა, სხვა არას ამბობდა, მის მამულში ოხრა და უმრის მიწა აღმოჩნდა, მას ქარხანა გაემართა ერთის ქართველისაგან, ამიტომ ივ. კერესელიძეს ძველი ამბების მოგონების ფიქრები აღარ აწუხებდა.

მწერლობაში, როგორც ვსთქვით ზემოთ, იგი ყველაფერს უადვილესად სწერდა, თუმცა არ იყო დიდი მწერალი, დიდი სახელის მქონე, მაგრამ რაც იყო და რითაც შეეძლო, მითაც საკმარისი სამსახური გაუწია ქართველობას და ქართულ მწერლობას. არ შეიძლება არ ითქვას, რომ დღევანდელ გაჩაღებულ მწერლობის ნიადაგად და სათავედ ივ. კერესელიძე, მისი შრომა, სამწერლო ასპარეზი, „ცისკრის“ და სხვა წიგნების გამოცემა არ ჩაითვალოს. თ. გ. თუმანიშვილის სიტყვისამებრ იგი არ იყო დიდი განათლების კაცი, მაგრამ მან 1855 წლიდან ბევრი ისეთი რამ აკეთა, რაც სხვა ჩვენ იმ დროის განათლებულთ არაფერი გაუკეთებიათ. ამიტომ ივ. კერესელიძეს შრომას, ნიჭს და მწერლობას რაც გინდ ნაკლი ჰქონდეს, იგი ჩვენგან მაინც ყურადღების ღირსია და პატივსაცემი, რადგანაც რაც მდიდარმა კაცმა და თავადისშვილმა არ ისურვა, არ გააკეთა, იმას საწყალმა ივ. კერესელიძემ მოჰკიდა ხელი და იგი გაუძღვა წინ. ამის მხრით ჩვენი მწერლობის ასპარეზზე სანაქებოა ივ. კერესელიძე. ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ ხანდისხან მცირე დახმა-

რებასაც აძლევდენ ქართველნი. ახსოვდათ მისი შრომა და ამაგი.

—

იგი გარდაიცვალა 1892 წ. ქ. ტფილისში, დეკემბრის 22-ს. დასაფლავებულ იქმნა 28-ს. დიდუბის ეკკლესიის ტაძრის გვერდით. ქართველობამ საკმირისი პატივი სცა. მთელი ტფილისის მწერლობის წარმომადგენელნი დაესწრნენ, რამდენიმე გვირგვინიც იყო. ასეთ პატივისცემას გარდა სხვაფერ ჯილდოთიც დააჯილდოვეს, დასაფლავებას ნივთიერათაც დაეხმარნენ. სამღველოებამ უსასყიდლოთ აგო პატივი.

რიგია, რომ ასეთ მშრომელის ნაწერების ყველა თუ არა, ზოგი-ერთი მაინც შეიკრიბოს და თუნდ. რამდენიმე წიგნათ არა, ერთ წიგნათ დაისტამბოს. ეს იქმნება ჯილდო ივ. კერესელიძეს იმ შრომის, რაც მან 1855—1893 წლებამდე უმუშავნია, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი მისი ნაწერები არ დაჰკარგვენ დროს, ყოველთვის იქონიებენ ბიბლიოგრაფიულს მნიშვნელობას, მკითხველი მასში საკმარის ცნობებს ჰპოვებს დროის შესაფერად და გასაცნობათ. ამის შესრულება მე ქართველთა წინაშე სავალდებულოთაც მიმაჩნია. რაც გინდ მდარე მწერალი მოლვაწეთ ჩავთვალოთ ივ. კერესელიძე, მაინც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გამოცემის დაწყების **მამათ იგი ითვლება**, ამ ჯილდოს მას ვერავინ წაართმევს, ეს მის სიკვდილის დროს ბეჭდვითაც იქმნა გამოთქმული მრავალთაგან. ზოგი მის ნაწერების ხელთ-ნაწერები მის მეუღლესთან ინახება. ზოგი დაუბეჭდავი კომედიები ქართულ დრამატიულ დასის საზოგადოებას აქვს და ხანდისხან თამაშობენ კიდეც.

უკანასკნელ წლებში, ივ. კერესელიძემ, ლექსების წერაში ნიჭი გამოიჩინა, მიმართულებაც შეიცვალა. წი-

ნეთ იგი ლექსების წერაში უმეტესად მისდევდა ბუნების და მშვენებათა აღწერას, ბევრს ლექსში იგი გვარიანათაც ასრულებს თავის ვალს, მაგრამ ბევრში კი სუსტობს. ასე რომ მთელ ამის ძველის ლექსებიდან რამდენიმე ლექსი გამოირჩევა, რომელნიც ყურადღების მისაპყრობი არის. უკანასკნელ წლებში კი, როცა ივ. კერესელიძე დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, მაშინ კი სხვაფერ გარდახალისდა, იმას ადრინდელად აღარ აგონდებოდა ქართული სუფრა, ქართული ჭამა, სმა, პურ-მარილი და წესჩვეულება, მან თავის სანუკარ საგნათ გაიხადა ხალხის ცხოვრების სურათები და თუ რამეს სწერდა სულ ხალხის ცხოვრებიდან, მაგალითებრ, საქმიდან დათხოვნილი მოხელე:

„დამითხოვეს, დავდივარ აწ მშიერი,
გამიკითხეთ ვინა ხართ მღვთისნიერი!“

საწყალი კაცი მდიდარი კაცის წინ ზარს რეკავს, ანუ ორი გაჭირავებული კაცი, წვრილშვილის პატრონი ოჯახი და ვინ იცის კიდევ რამდენი ასეთი სხვა ლექსები, სადაც ივ. კერესელიძე კაცის სიღატაკეს და უბედურ ცხოვრებას მწარეთ დამღერდა, უნდა ისიც კი ითქვას, რომ ზოგი ლექსების შინაარსს იგი რუსულის ჟურნალებიდანაც იღებდა, რაც შეეხება გალექსვას და მის ოსტატობას ესეც კარგათ იცოდა, მაგალითებრ ლამარტინის ლექსი; პ. იოსელიანმა ქართულს ენაზე სთარგმნა და ეს თარგმანი „ცისკარში“ დაიბეჭდა, თარგმანი მეტად უხერხული იყო, პლატონისებურად, ამის გალექსილი ივ. კერესელიძემ კვალად გალექსა ქართულს ენაზე და ახლად გალექსილი „ცისკარში“ დასტამბა, რამაც პ. იოსელიანი ერთობ ააღელვა. თარგმნის გალექსვა კი კარგათ მოახერხა:

„ნუ თუ აღარ ხარ ღმერთი ომისა,
ნუ თუ აღარ ხარ ღმერთი ბრძოლისა,
ჰხედავ ინთქმიან შენგან შექმნილნი
და არ ეწევი შენ იმათ ძალსა?!

და სხვანიც ასევე, შემდეგ უფრო უკეთესად. ამითი ჩვენ ი. კერესელიძეს არ ვკიცხავთ, დრო ისეთი იყო და მიტომაც იგიც თავის დროის შვილათ იხატება. ასეთს გზას არა მარტო იგი ადგა, ვრამედ ასევე იყო რაფ. ერისთავი, რომელმაც მთელი თავის საუკეთესო დრო საარშიყო ლექსების წერას შესწირა, რომელ ლექსებიც „ცისკარში“ იბეჭდებოდა და რომელ ლექსებითაც იმ დროის ბეჩავ ქართველობას დიდს ვერაფერს სამსახურს უწევდა, მაგრამ დრონი იცვალნენ, ქართველმა ხალხმა თვალი გაახილა, მწერლობა მოლონიერდა, აქ ხალხის ცხოვრება გახდა საყურადღებო ასაწერ საგნათ და ამიტომ ი. ერისთავმაც გლეხებსა და გაჭირვებაზე დაიწყო წერა და ქადაგება. ასევე იყვნენ სხვა მწერლებიც. ივ. კერესელიძემ უკანასკნელ მიმართულება მელექსეობას გარდა პროზაშიაც შეცვალა და რუსულის ენიდან ქართულს ენაზე თუ რამეს სთარგმნიდა, ყველა თარგმანიც აღნიშნულს საგანთ აღწერას შეეხებოდნენ. ასე რომ ზოგი ნაწერები ი. კერესელიძისა ქართულს მწერლობაში დიდ ხანს დაშთებიან ცოცხლად და მას თავისი მკითხველი ყოველთვის ეყოლება. თუმცა ასეთი ლექსები ი. კერესელიძემ უკანასკნელ წლებს სწერა და იგიც ერთობ მცირე, მაგრამ მათ მაინც ღირსება შიენიჭებათ თავიანთ დროის კვალად. ზოგს ლექსებს ჩვენ უკვე აქა იქ ვხედავთ გადაბეჭდილებს, რომელთაც ხალხი სიამოვნებით კითხულობს და თან თვალ-ყურსაც ადევნებს. უნდა მოგახსენოთ, რომ მწერლობის ასპარეზზე, ივ. კერესელიძე ბევრს რამეში სწუხდა, იგი ნაღვლით ავსებუ-

ლი ამბობდა, რომ ჩვენ წინეთ ისე არა ვსწერდით, როგორც უნდა გვეწერა და რაც საჭიროც იყოვო. მაგრამ რა გაეწყობა, მომზადება არა გვქონდა და ესე ყოველივე მის მეოხებით ხდებოდაო. ეხლა კი თვალი გავახილეთ, მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიან, ესეც კაიო.

უკანასკნელ წლებშიაც ივ. კერესელიძე იმავ შეხედულებისა იყო ჩვენს მწერლობაზე და მწერლებზე, როგორც წინეთ, იტყოდა ხოლმე იგი: ჩემს დროს, ქართულად წერას „ცისკარში“ თავად-აზნაურის შვილები ეჩვეოდნენ, გლეხთა და ხელოსანთა შვილთა ხსენებაც არ იყო, თითო-ოროლა სამღვდელო პირთა შვილები კი მისდევდნენ წერას. დრო შეიცვალა, მე არ მეგონა, თუ ჩვენი საქმეები ასე მოეწყობოდა, ვინ რას იფიქრებდა. ეხლა თავად-აზნაურის შვილების გვერდით ქართველ გლეხთა შვილებმაც იჩინეს თავი, ესენიც შეუდგნენ მწერლობასა. აბა ვინ რას მოიფიქრებდა, კაცო, რომ ქართველის გლეხებისაგან ასეთი კარგი მელექსეები გამოვიდოდნენ, ლექსების და სხვა ნაწერების ბეჭდვასაც დაიწყებდნენ, ამას გარდა წიგნის მაღაზიებსაც დახსნიდნენ და ქართული წიგნებით ვაჭრობასაც გააჩენდნენ. ვერ წარმოვიდგენდით ადრე, რომ ტფილისის იარმუკაზე ქართული წიგნების ბაზარი გაიმართებოდა. ახ, რომ ქართველთა ასეთ საქმეებს „ცისკრის“ ზოგი-ერთი თანამშრომლები ვერ მოესწრნენ, რამდენს სტკიოდა გული ჩვენს უძლურებაზე, აბა მაშინ ვის მოუვიდოდა თავში, რომ სადღეისოდ ასე წავიდოდა საქმე წინ. გარდა ჩვენის უიმედობისას და უბედურებისა, სხვებიც გვაშინებდნენ და გვიხეთქავდნენ გულს. გ, მუხრანსკიმ რომ წერილი დაწერა, ამ წერილმა დიდი აყალმაყალი ასტეხა. ის მარტოდ მაშინ არ იყო ისეთის შეხედულების, ის იმ აზრს 1860 წლიდან ადგა. იგი ყოველთვის იმას ამბო-

ბდა, რომ ის ასე უნდა მოხდესო, ამას ვერ ვეცდებითო. ხომ იცით, რომ ჩვენი საქმე წასულიაო. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი. ერთხელ გრიგოლ ორბელიანთან ვიყავი, გ. მუხრანსკიც იქ იყო. სიტყვა მის წიგნზე ჩამოვარდა, მე წინააღმდეგი გაუხდი. იმან მითხრა: შე საცოდავო, აბა შენის „ცისკრით“ რა გიჭირავს ხელში, რა მოიგე, რა იშოვნეო. სიბერეში შესული აქა-იქ დადიხარ და ვის არ ეხვეწები და ელრიტინებიო. წარმოიდგინეთ, რომ გრიგოლიც კი აიყოლია. პლატონ იოსელიანს კი ვერა დაარწმუნა-რა, ერთხელ გრ. ორბელიანის სახლში პ. იოსელიანმა სასტიკათ გაჰკიცხა კიდეც. წარმოიდგინეთ, რომ შემდეგ, გ. მუხრანსკიმ მეც ამიყოლია თითქმის, კინალამ მეც მისი აზრები შევიწყნარე. სულ მისი ბრალია, რომ მე ჟილიხოვსკის ლექციებს ერთნაირი მიმართულება მივეცი. აბა მობძანდნენ ის ბატონები და ნახონ ეხლა ჩვენი საქმე და მწერლობის აღორძინება. არაო, გაიძახოდნენ გაკერპებით, რომ ქართული მწიგნობრობა არ აღორძინდებაო. ღვთით აღორძინდა კიდეც და იმედია, რომ მომავლისთვის იგი უფრო წინ წავა. ახ, ნეტავი სმენა და გაგონება იქმნეს, რომ საფლავზე ფეხი დავარტყა და ჭონქაძეს, ალ. ორბელიანს, ლ. არდაზიანს, დიმ. ბერიევს და სხვათა ჩავსძახოთ, რომ ქართული მწერლობა აყვავდა, მათ ნატვრა შეუსრულდათ, ქართველ ერმა განათლებისთვის შრომა იწყო, მწერლები გაჩნდნენ, ერთი „ცისკრის“ მაგიერ დღეს რავდენიმე გამოცემა არსებობს. მაშინ ეს ფიქრათაც არავის მოუვიდოდა, რომ ქართველთ ერთად-ერთ „ცისკრის“ გარდა სხვა გამოცემაებიც გაუჩნდებოდათ. ამისთვის სწერდა ნამეტურ ალ. ორბალიანი და მიხეილ თუმანიშვილი, რომელიც „ცისკარს“ აქა-იქ ძალათ აწერინებდა და ავრცელებდა მით. ასე იყო მაშინ და მადლობა

ღმერთს, რომ იმ ბნელ დღეების მნახველმა ამ ახალ დროის სხივებსაც მოვესწარ და დღეს, გინდ მოვკვდე, მე ის ჯავრი აღარ წამყვება, რაც სხვებს და მეც მაწუხებდა და მადარდებდა აქამდე.

ფ. ჯ.

894.63.09
ქ 551

მომზადებულია შემდეგი წიგნები:

1) ალექსანდრე ყაზბეგი.
2) სერგეი შესხი.
3) ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა).
4) ფალავანდიშვილს ბერა კაკნაძე.

ფასი ოქრი შაური

ჩემი ადრესი:
ბუკია, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი № 20.